# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 22 თებერვალი, 2013 წელი.

№34 (7161)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ტარანტინო გადაფასდა... კრონენბერგს დაერხა... ვერხოვენი ჩამოიწერა... მალე ჰიჩკოქსაც გადაუჯოკრავენ... ③

საქართველოში მძლავრობს ექშენი (სახელად ვარდისფერი შიზშენი)...




## რეზო ამაშუკელი: ქვეყნისთვის საჭირო ადამიანები საქართველოში უნდა დაბრუნდნენ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს ⑤



## „რუსთავი 2“ — წამყვანი მიშავიზია! ⑤

## ვინ და რატომ სდევნიდა ბიძინა გიორგობიანს? ④

## ეზუგბაიამ მილიარდიანი ვალი დაგვიტოვა!



## „ღია კარის“ ერთი საათი მამუკა ღლონტთან ⑥



## სააკაშვილის სიტუტუცეს საქართველოს სახელი ეწირება ⑨



## ვიხსნათ ქართული მიწა უცხოელთა ხელყოფისაგან ⑦

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## სააკაშვილი პარლამენტარებთან გამოსვლას ითხოვს

**საქართველოს** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თხოვნით მიმართავს პარლამენტს, დანიშნოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის თარიღი. პრეზიდენტის ღია წერილი პარლამენტისადმი პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

— უპირველეს ყოვლისა, გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს და მოგმართავთ თქვენ – — ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს. მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია, რომლის დაცვა საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, უწინარესად, ქვეყნის ხელმძღვანელი პირების უმთავრესი ვალდებულებაა.

ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, დაცული იქნას საქართველოს კონსტიტუცია რომელიც, ერთი მხრივ, ქვეყნის პირველ პირს ავალდებულებს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებას; მეორე მხრივ, კონსტიტუცია ავალდებულებს პარლამენტს მოუსმინოს საქართველოს პრეზიდენტს. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის ამ ნორმის დაცვით, ცოტა ხნის წინათ შექმნილ ბევრ გართულებას ავიცილებდით თავიდან. საქართველოს პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი, მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა კი, საქართველოს პარლამენტსაც ეკისრება. აქვე შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტში არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოსმენა უახლოეს მომავალში უნდა შემდგარიყო. ზემოქმულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვა და დანიშნოთ საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის თარიღი, — აცხადებს პრეზიდენტი.

## მიხეილ, სავსე დარბაზში გსურთ გამოსვლა თუ ცარიელში?

— **ჩვენი** ვალია, რომ ქართველი ხალხის არჩევანს პატივი ვცეთ, რომელმაც ოთხი წლის ვადით აგვირჩია და რომელმაც, პრეზიდენტი ცხრა წლის წინათ აირჩია. გიდასტურებთ ჩემს სიტყვებს, რომელიც თქვენთან შეხვედრაზე გავაკეთე, რომ ამ შენობიდან გააკეთოთ თქვენი მიმართვა, პარლამენტის ტრიბუნიდან და ეს უფლება თქვენთვის არავის წაურთმევია. 8 თებერვალს, თქვენი გამოსვლა გადავდეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა თქვენი ცარიელ დარბაზში გამოსვლა — ეს არ გვინდოდა. შანსი გაგვიჩნდა, საკითხები მოგვეგვარებინა და თქვენ მიგემართათ პარლამენტისთვის და არა ცარიელი კედლებისთვის.

პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართვის საშუალება, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსკენ გექნებათ, თუმცა, თქვენი გამოსვლა იქნება ცარიელ კედლებში თუ პარლამენტში, ეს დამოკიდებულია თქვენს გადაწყვეტილებაზე — მზად ხართ თუ არა პარლამენტს დაუბრუნოთ საკუთარი უფლებამოსილება. რაც უფრო მალე გაცხადდება თქვენი მზაობა, მით უფრო მალე გამოხვალთ პარლამენტში. ეს იმას კი არ განსაზღვრავს პარლამენტში გამოხვალთ თუ არა, არამედ იმას, ცარიელ დარბაზში გამოხვალთ თუ პარლამენტის წინაშე, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართვას გამოეხმაურა.

## „საიდუმლო საკითხი“ გაიხსნა – ათონელზე პრემიერის რეზიდენცია აღარ განთავსდება

**ათონელის** ქუჩაზე მდებარე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ყოფილ შენობაში პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია აღარ განთავსდება, — ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ მთავრობის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, ეს იყო საიდუმლო საკითხი, რომელიც მთავრობამ სხდომაზე განიხილა, თუმცა, მინისტრთა კაბინეტმა ამ საკითხის გასაიდუმლოების გადაწყვეტილება მიიღო.

კერძოდ, როგორც მაია ცქიტიშვილმა აღნიშნა, შენობის რეკონსტრუქცია ნაწილობრივ განხორციელდა. მის უკან მდებარე ეზოს ტერიტორიაზე კი, ახალი შვიდსართულიანი ნაგებობა უნდა აშენებულიყო, რომელშიც განთავსდებოდა პრემიერის რეზიდენცია.

— ეს შენობა განკუთვნილი უნდა ყოფილიყო პრემიერ-მინისტრის მიღებებისა და შეხვედრებისთვის, თუმცა, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ შენობაში პრემიერ-მინისტრი აღარ გადავა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ აქვს ფუფუნება პრემიერ-მინისტრისთვის რეზიდენციის აშენებისთვის, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი მუშაობას მთავრობის კანცელარიაში განაგრძობს. რაც შეეხება ათონელის ქუჩაზე დაგეგმილი სამშენებლო პროექტის ღირებულებას, მაია ცქიტიშვილის ინფორმაციით, ის 26 მილიონ ლარს შეადგენდა.

ინტერპრესი

ერიჰაა!

## რამ აღაშფოთა ჩეხეთის ელჩი საქართველოში და როგორ ესმის პროფესიონალიზმი?!

**დღევანდელი, 21 თებერვლის დილა იმით დაიწყო, რომ რედაქციაში დარეკა აღშფოთებულმა ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ ივან იესტრჟაბმა. აღშფოთების მიზეზი კი „ჯი-ეიჩ-ენის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია აღმოჩნდა — „სააკაშვილის „ჩაშვება“ მისმა თანაგუნდელებმა დაიწყეს“** (http://www.ghn.ge/news-83826.html).

პირველი და უმთავრესი — ელჩმა დაადასტურა, რომ საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა დიპლომატიურ კორპუსს მართლაც გააცნეს უწყებაში მიმდინარე გამოძიების ცალკეული საქმეები. ჩეხეთის ელჩმა თავის თავზე აიღო და სრულიად დიპკორპუსის სახელით განაცხადა, რომ „დიპლომატიური კორპუსი აღშფოთებულია ნიუსში ნათქვამი ფრაზის გამო — **„პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ უცხოელებმა ახალ ხელისუფლებას უგულავას და სააკაშვილის დაჭერაზე „მწვანე“ აუნთეს“**. მან ასევე აღნიშნა, რომ არასწორია, თითქოს „დიპლომატებს არც ერთი შეკითხვა არ გასჩენიათ“. (როგორც ჩანს გაუჩნდათ და ვითომ კარგია? **გ.მ.**)



ბატონი ელჩი მეკითხება, თუ საიდან მაქვს ეს ინფორმაცია. ვუპასუხებ, რომ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილისგან, თუმცა, არ ვუკონკრეტებ, რომ ეს ერთ-ერთი მონაწილეც, ასევე უცხოელია. მისივე თქმით, შეხვედრაზე იყო დისკუსია და არავითარი თანხმობა ვინმეს დაჭერაზე არ გაცემულა.

რა თქმა უნდა, დიპლომატიური კორპუსი არ არის არც პროკურატურა და არც სასამართლო და იმდენი ნამდვილად ვიცით და გვესმის, რომ ვინმეს დაჭერაზე სანქციას ვერ გასცემდნენ. თუმცა, მომიწევს დაკონკრეტება და ვიტყვი, რომ იმ არგუმენტებზე, რომელიც პროკურატურამ საქმის მასალებზე დაყრდნობით დიპლომატიურ კორპუსს წარუდგინა, ზოგიერთი „მისი აღმატებულების“ სახეზე აშკარად იყო აღბეჭდილი სინანული. დიახ, იყო კითხვები, მაგრამ გამოცდილ დიპლომატებს, ალბათ, ისიც უნდა ახსოვდეთ, როგორ დასრულდა შეხვედრა. ეს არ იყო შეხვედრა, როდესაც პროკურატურა მიაყენეს კედელთან. ცალკეულ ფრაზებს აქ ნამდვილად არ მოვიყვან მხოლოდ იმის გამო, რომ მართლაც არ გამოვიწვიო დიპლომატიური სკანდალი.

არც გვიფიქრია, რომ ჩვენი ვარაუდები დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმიკის, რეაქციის, დასმული კითხვებისა და, რაც მთავარია, გამოცდილი დიპლომატის მიერ ჩვენთან ინკოგნიტოდ გაკეთებული შეფასების საფუძველზე გამოტანილი დასკვნა — „მწვანე შუქის ანთება“, რომელიმე ელჩისთვის უნდა შეგვეთანხმებინა. ეს ადამიანები, მგონი, მართლაც ველურებად განგვიხილავენ და საკუთარ თავს იმის უფლებასაც აძლევენ, რომ გვიკარნახონ, როგორ ვიფიქროთ.

ისე, სადაა იმის გარანტია, რომ ზოგიერთმა დიპლომატმა საქმის მასალები უკვე არ გააცნო თუნდაც იმავე სააკაშვილს ან უგულავას და არ დაუსახელა ის ექს-თანაგუნდელები, რომლებმაც მათ წინააღმდეგ ჩვენება მიცეს?

ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ **ჩვენი „ნახელავი“ არის არაპროფესიონალიზმი. უნდა დავეთანხმო, ნამდვილად არაპროფესიონალიზმია, როდესაც „კოჰაბიტაციას“ სთხოვ გაუბედურებულ ათასობით მოქალაქეს. დიახ, მოქალაქეს, რადგან სწორედ მოქალაქეებმა აირჩიეს ის ხელისუფლება, რომელიც ახლა მართავს ქვეყანას.**

კიდევ ჩამოვთვლი სხვა არაპროფესიონალიზმის რამდენიმე ფაქტს. **არაპროფესიონალიზმია 2007 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალებაში დარწმუნებული დიპლომატიური კორპუსი. არაპროფესიონალიზმია 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების საერთაშორისო „გაპრავება“. არაპროფესიონალიზმი და უზნეობაა სისხლით მორწყულ და სახელდახელოდ „გარეცხილ“ რუსთაველზე 26 მაისის გამართულ აღლუმზე დგომა. არაპროფესიონალიზმია ქართველი სამართალდამცავების მიერ იმავე დიპკორპუსისთვის გაცნობილი „ენვერის“ და „ფოტოგრაფების“ საქმე და საკუთარ საგარეო უწყებებში გაგზავნილი რაპორტები ამ საქმეებზე. არაპროფესიონალიზმია თუნდაც ერთი პოლიტპატიმრის დაუნახაობა, როდესაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო 200-მდე პოლიტპატიმარზე საუბრობს. არაპროფესიონალიზმია „ცოცხების კადრებზე“ დუმილი და არასათანადო შეფასება.**

**თქვენო აღმატებულებავ, ივან იესტრჟაბ, თქვენ და თქვენს კოლეგებს არც 7 ნოემბერს, არც 26 მაისს გაგიციათ ადამიანების დარბევის ვერდიქტი. ღიად არ გაგიციათ. თუმცა, ერთ-ერთმა თქვენმა კოლეგამ კი გააკეთა ეს „შეფარვით“, მაგრამ მთელი მსოფლიოს დასანახად. დიახ, არც ახლა არ გიბრძანებით ღიად, სააკაშვილი ან უგულავა დაიჭირეთო. უბრალოდ, „დისკუსიის“ გარდა, ვერ შეეწინააღმდეგეთ პროკურატურის მიერ მოკვლეულ და გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს, სააკაშვილის თანაგუნდელების მიერ მიცემულ ჩვენებებს.**

**მართალია, დიპლომატიაში დუმილი ყოველთვის არ ნიშნავს თანხმობას, თორემ იმის მტკიცებაც მომიწევს, რომ დიპლომატიურმა კორპუსმა გასცა „იმედის“ დარბევის ბრძანებაც და ეს ნამდვილად არ შემატებს ღირსებას „მის აღმატებულებებს“. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი და ძალიან ბევრი ჩამოუთვლელი შემთხვევის დროს არ გაუცია დიპკორპუსს ღიად ვერდიქტი. თუ ახლა რანგია სხვა? პრეზიდენტზეა საუბარი? ისე მიხეილ სააკაშვილი რომ ურჩევნია ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანს ორმაგი სტანდარტის მქონე — „დუმილითა თუ დიკუსიით„მწვანე შუქის“ მიმცემ „აღმატებულებებს“, ამის გაგებაც გაუჭირდება, ალბათ, აღშფოთებულ დიპკორპუსს.**

ისე, ახლა ყველაზე მეტად რაც მაინტერესებს ისაა, ამ შეხვედრების შემდეგ ელჩებმა რომ საკუთარ საგარეო უწყებებს რაპორტები გაუგზავნეს, რა დირექტივებს მიიღებენ?

სააკაშვილი და უგულავა რომ ნაკლებად აღელვებს დიპლომატიურ კორპუსს, ეს გასაგებია. დასავლეთი ახლა სხვა რამეზე ფიქრობს და ეს საფიქრალი მას ივანიშვილის ხელისუფლების ზოგერთმა გაურკვეველმა ნაბიჯმა გაუჩინა. როცა ისინი მყარად დარწმუნდებიან „რაღაცრაღაცებში“, საფიქრალიც და აღსაშფოთებელიც არაფერი იქნება.

ისე, ნამდვილად სამწუხაროა, რომ სააკაშვილის ჩაშვება მისმა თანაგუნდელებმა დაიწყეს. მიუხედავად გარეგნული სიმტკიცისა, გუნდი ყოველთვის იყო სააკაშვილის აქილევსის ქუსლი. რაც შეხება „კორპუსს“, ვნახოთ სადამდე ჩაჰყვებიან ისინი პრეზიდენტს.

**გოჩა მირცხულავა,**
**„ჯი-ეიჩ-ენის“ დირექტორი.**

**P.S. როგორც დაგვპირდა, ჩეხეთის ელჩი „მწვანე შუქზე“ და არაპროფესიონალიზმზე, წერილს გამოგვიგზავნის. ცუდი არ იქნება თუ იმავე წერილში იმ „დისკუსიისა“ და „მწვანე შუქის“ შესახებაც ისაუბრებს, რომელიც 7 ნოემბერს და 26 მაისს, თუნდაც „ენვერისა“ და „ჯაშუში ფოტოგრაფების“ საქმეებს ეხება.**

**გ. მ.**

ინფორმაცია

# როდის მოიშლის თარგამაძე ჩეგევარობას?



**რუსეთის გამოძიების მტკიცებით, ქართველი პოლიტიკოსი გივი თარგამაძე კვლავ უწევს კონსულტაციებს რუსეთისა და სხვა ქვეყნების ოპოზიციურ ძალებს. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იუწყება.**

— საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბრალდებული აქტიურად არის დაკავებული ოპოზიციური ძალების კონსულტირებით სხვადასხვა ქვეყნებში, — განაცხადა გამომძიებელმა სასამართლოში თარგამაძის საქმის განხილვისას.

როგორც „ინტერფაქსი“ წერს, გამომძიებლის აზრით, სასამართლომ დაუსწრებლად უნდა დააკავოს თარგამაძე, რადგან მას შეუძლია ზეწოლა მოახდინოს მოწმეებზე, ასევე დანაშაულის სხვა მონაწილეების ინფორმირება მოახდინოს.

მოსკოვის ბასმანის სასამართლომ საქართველოს პარლამენტის წევრ გივი თარგამაძეს დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება. სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობით გამოძიებამ მიმართა. გივი თარგამაძე ბრალდებულია რუსეთში მასობრივი არეულობების მომზადებაში.

ამასთან, მოსკოვის პოლიციამ საქართველოს პარლამენტის წევრ გივი თარგამაძეზე ფედერალური ძებნა ოფიციალურად რამდენიმე დღის წინათ გამოაცხადა.

რუსეთში მასობრივი არეულობის მომზადებაში ბრალდებული ქართველი პოლიტიკოსი ძებნილ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაშია შეყვანილი.

ამასთან, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძე ბრალდებულად ცნო რუსეთის ტერიტორიაზე მასობრივი არეულობის ორგანიზებაში „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერ სერგეი უდალცოვთან და მის თანაშემწე ლეონიდ რაზვოზჟაევთან კოორდინაციით.

ქართული მხარის ინფორმაციით, გივი თარგამაძე, მოთხოვნის შემთხვევაში, რუსეთს არ გადაეცემა.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც ჯერ თავის მთავრობაში ყოფნის დროს მარშალ ბეტანკურივით დაიმონა, დაიჭირა, გაატყავა და გარყვნა ხალხი, ახლა, მაოხრებელი გზირივით იგივეს აკეთებს ოპოზიციიდან, ოღონდ – უკუღმა...

გაგიკვირდებათ...

მაგრამ თუ არ გიკვირთ, როცა ჩიტების ორგანიზებულ დივიზიებს ადამიანების განადგურება ჰქონდათ დაგეგმილი, თუ აკანკალებული სიამოვნებით უყურებდით, როგორ შეიძლება მეთოდურად გარეცხო მანქანა ათასობით ტვინის ნაწილაკებისაგან, თუ ავტოავარიით სიკვდილი ორგაზმის ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება ჩამოყალიბდეს გარკვეული მიდრეკილებების მქონე სუბიექტებისათვის, ხოლო სხვები მხოლოდ მაშინ ათავებენ, როცა საწოლის ქვეშ გადანახულ ყინულის საჩეჩქვ დანას ეფერებიან ტარზე, და თუ სავსებით ბუნებრივია, რომ დღეს ეს გაცილებით მეტ ადამიანს იზიდავს, ვიდრე „რომეო და ჯულიეტა“, ან „მოგზაურობა ტოკიოში“, მაშინ რატომ გვიკვირს, რომ ნაციონალური მოძრაობა, თავისი გამოცხადებული სიშლეგის მოდელირებულ ქრონიკებში სწორედ ასეთ ახალ ხერხს მიმართავს:

„მასიური დედააფეთქებული პროვოცირება მასიური ლინჩირების გამოსაწვევად და გლობალური ემოციური მხარდაჭერის მოსაპოვებლად!“

განსხვავებით მარშალ ბეტანკურის დროინდელი კამორიდან, დღევანდელი „კანურის“ გრანდისიმოჰალეებს უფრო გრანდიოზული ამოცანა აქვთ – რევოლუციის არა ჩახშობა, არამედ პროვოცირება... „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!“ შეცვალა სრულიად მოულოდნელმა ნატვრამ – „ოღონდ იყოს ბუნტი! მალე იყოს ბუნტი! ოღონდ მალე დაიღვაროს მეწამული სისხლი! (რომელსაც დასავლეთს ვაჩვენებთ!)“

ამ (ჭეშმარიტად მაკიაველის და ბორჯიებს რომ შეშურდებოდათ, ისეთ) სპექტაკლში ჩაბმულია 4 ფოკუს-ჯგუფი და მინიმუმ 2 ქორო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფოკუს-ჯგუფი არის „საზიზღრები“ (ვამპირები)... მათი ამოცანაა თავისი საშინელი საქციელით და უფრო უარესი „ლოგიკით“ გამოიწვიონ ხალხში აღშფოთება, ბრაზი, აგრესია და სიძულვილი. მოახდინონ თავის თავზე მაქსიმალური ცეცხლის კონცენტრირება. აბსოლუტურად ზედმეტია (რეჟისორის ჩანაფიქრით), რომ ისინი რაიმე სიბრალულს იწვევდნენ! პირიქით, მათი თითოეული ამაზრზენი ტყუილი უნდა იყოს ისეთი, რომ გამოიწვიოს დედის შეგინების ისეთი დაუძლეველი სურვილი, რომელსაც ვერავითარი ქალური სინაზე თუ მორცხვობა წინ ვერ დაუდგება! ეს არის ფოკუს-ჯგუფი, რომელმაც საზოგადოების ფართო წრეები უნდა აღაგზნოს, გაავეშოს, გააგიჟოს და მათი ჩაწიხვლის, ჩაქოლვის, ფურთხში და სისხლში დახრჩობის იმპერატიული სურვილი მომენტალურად უნდა აღუძრას... ამ ჯგუფის წევრები არიან ცნობილი ოქროპირიძე და ცნობილი დონაძე. და ის, რომ საზოგადოებრივი აზრი მათ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებად განიხილავს, სწორედ აწყობს ჩვენს ნერონიკოს. მისი გათვლა ხომ გაცილებით შორს მიდის! ჩაქოლილი ერთი ადამიანი მხოლოდ ერთი ადამიანია, და (თუ გაუმართლა და საქმე მართლა ამით დამთავრდა!) – ჩაქოლილი სექსუმცირესობის წარმომადგენლის ფასი ხომ განუზომლად უფრო დიდი იქნება მსოფლიო პოლიტიკის ოსკარის ცერემონიალზე? საოცარ დონეს მიაღწია ნერონიკოსა და დონაძიკოს თეატრმა – ადრე სადმე ყოფილა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, გირაოთი გამოშვებული პირი მილიონობით ადამიანს ტელევიზიიდან „ახურავდეს“ და „აჭმევდეს“? – ჩვენთან კი მოხდა! ადრე სადმე გინახავთ, მთავრობის წევრი დებატებში იმ ადამიანთან, რომელიც რამდენიმე მკვლელობაში თანამონაწილედ არის ეჭვმიტანილი? ნახეთ, როგორ იხვეწებოდა გურამიკო – მოდით და ჩამქოლეთ, ქალბატონო თინაო! დავალება აქვს – თვითჩაქოლვის მიზანსცენის ავტორიცაა და მოქმედი პირიც, რომელმაც რეჟიმი უნდა გადაარჩინოს! და რატომღაც ლუკა კურტანიძეს ვერ უბედავს ჩაქოლვის ნატვრას, გაჭედილი!.. ისე, ვერ ვხვდები, თავად ეს მაზოხისტები თუ ხვდებიან, როგორი მოკლე თოკით არიან დაბმული და როგორ ელოდება მათი გენიოსი რეჟისორი მათი დე ფაქტო გამოფატვრის ნანატრ ფინალს! სავარაუდოდ, მათ გარანტიები აქვთ მიღებული, რომ სიტუაციის რაღაც „ჭ“ წერტილამდე დაძაბვის შემდეგ, ყალბ პასპორტს და საზღვარზე ფეხდაუსველებლად და მძიმე დიპლომატით გადასვლას უზრუნველყოფენ.... თუმცა, თუ იოტისოდენა ტვინი მაინც აქვთ იმ ჩასაფარებელ გოგრაში, კი უნდა ხვდებოდნენ, რომ მათი ცოცხლად და უსისხლოდ გაშვება ჩვენი ტარანტინუშკას გეგმებში აბსოლუტურად არ უნდა შედიოდეს. ამ ფოკუს-ჯგუფის სულიერი ხაზი ხომ ლუციუს სერგიუს კატილინადან მოდის...

ფოკუს-ჯგუფი 2 – „საბრალონი“ „les miserables“ – ამ ჯგუფის ამოცანა მხოლოდ დოზირებული ბრაზის გამოწვევაა. მათი საბაზისო (და საბაზროც!) ღირებულება უფრო მაღალია და თუ ძალიან არ გაუჭირდა ნერონს, ამ ფოკუს-ჯგუფს მართლაც აქვს სერიოზული გარანტიები. მათი ამოცანაა სისხლის დაღვრა... ოღონდ – არა მოწინააღმდეგის სისხლის, არამედ – საკუთარი სისხლის! აბა, რას გეუბნებოდით – რა კამორა, რის კამორა! „პადდავკია“ ეს, „პადდავკი“! გამოფრთხიალდება რომელიმე ჩიორა, ბოლოს ააქანქარებს, ვიღაცას რაღაცას ესვრის უტიფრად და თუ ბედმა გაუღიმა და სისხლმდენ წერტილში მოარტყეს შედეგად, ხომ აშენდა და აშენდა! ორი საათი ირბენს ბნედიანივით ერთი კამერიდან მეორე კამერამდე, ორი საათი ცხვირსახოცს არ მიიკარებს სისხლმდენ ჭრილობაზე, ასობით სურათს გადაიღებს თავისი ვარსკვლავური მომენტის უკვდავსაყოფად... მერე კი გაბადრული და მოყოჩაღებული ყურს დაუგდებს ბელადის სენტენციებს... ხოლო 5 დღის მერე, თუ ვინმე საპატიო სტუმარი ეწვევა, ღამენათევი და გატანჯული სახით გამოიღებს მონიკა ლევინსკის კაბასავით სათუთად შენახულ სისხლიან ნივთმტკიცებას, ყელთან მიიფუთნის და მთელ მსოფლიოს ჰორიზონტალურად მიბნედილი წარუდგება ასე წამებული, შუშანიკ ჩვენი... ამ ჯგუფში ფიცხელი მამაკაცებიც არიან – „დაარტყი, დავარდი, ფოტო გადააღებინე!“ დევიზით მაცხოვრებელნი... ჯგუფის მთავარი დამახასიათებელია – ცნობადობა, მსხვერპლადობა, მედიაში განვლადობა!

მესამე ფოკუს-ჯგუფი – „ნახევრად ღმერთები/ერის მამები,“ ანუ მჭმუნვარე სენატორები. მათი ცისფერი სისხლი იმის საწინდარია, რომ მათ გლადიატორებად და თუნდაც პროვოკატორებად არავინ გამოიყენებს. მათი მთავარი ამოცანაა ცისკენ ხშირად აღაპყრონ გადაჭდობილი ხელები, შეჭმუხნონ ისედაც ხალხზე ფიქრში (უფრო სწორედ – ხალხის გატყავებაზე და გაცუცურაკებაზე ფიქრში) დაღარული შუბლები და ამოიოხრონ – O tempora, O mores! მერე დიდხანს ილაპარაკონ იმაზე, რა სანატრელი სამოთხე ააგო ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში ერთმა ცალკე აღებულმა კორუფციამებრძოლმა რეფორმატორების პატარა ჯგუფმა! და როგორ ინგრევა გულისგამპობად ეს ყველაფერი მათ ცრემლმდინარე თვალთა წინ!!! ეს ჯგუფი ბეთჰოვენის მე-8 პათეტიკური სონატის ფონზე უნდა ღაღადებდეს! მაგრამ რად გინდა? – ყველაფერი მშვენივრად აწონილია, რეჟისურა – გასაგები, სცენარი – მომხიბვლელი, მიზანსცენები – ფანტასტიური, პუბლიკა – მომზადებული (ძირითადად საზღვარგარეთ, მაგრამ – ჯანდაბას!) და... წყალში იყრება ეს ყველაფერი! – მსახიობები არაა! მსახიობები არის, მაგრამ დონე არაა! დაახლოებით ისეთი კრახია, ჰამლეტის როლი ბენდუქიძეს რომ უნდა ანდო...

## ტარანტინო გადაფასდა... კრონენბერგს დაერხა... ვერხოვენი ჩამოიწერა... მალე ჰიჩკოკსაც გადაუჯოკრავენ...

*საქართველოში მძლავრობს ეჭვენი (სახელად ვარდისფერი შიგშენი)...*




ამ ჯგუფის თითქოს კარგი ხატებაა დავით ბაქრაძე, მაგრამ ადრე უაზროდ სულ იღიმებოდა და ახლა მისი დასერიოზულება, უბრალოდ, შეკრულობის ნიშნად უფრო აღიქმება... შეიძლებოდა კარგი ყოფილიყო გიგი წერეთელი, რომლის საპარლამენტო სტაჟი კატონსაც შეშურდებოდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ წერეთლის გიგიზე მთელი ნაცმოძრაობა ფეხს იწმენდდა მზიან ამინდშიც კი... ჰოდა, აბა მიხეილ მაჭავარიანის და მიხეილ სააკაშვილის ცისკენ ხელების აღპყრობა მკრეხელობაა მხოლოდ და მეტი არაფერი! მაგათ, წესით, ცას კი არა, ქვესკნელში უნდა ჩასძახონ, – ბალაკლავა, გვერხევა და რამე გვიშველეთო... ჰოდა, ეს ჯგუფი ყველაზე სუსტია, რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ... გიორგი ვაშაძისგან რიტორიკების კითხვა ხომ იგივეა, რაც ახალაიასგან „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ცრემლები... ამიტომ, რაც დრო გადის, ყველაზე მეტად აქ ეჭედებათ... ჩიორასას დაიჯერებ, სერგო რატიანიც სუფთად ეცემა, ხაბაზიც კაი „ვიპადს“ აკეთებს წრიპინის მიუხედავად... დონაძე რომ natural born bastard არის, ამას ყველა მომენტალურად იჯერებს... და ოქროპირიძემ შევარდნაძესაც რომ დაადოს ხელი, ამანაც გამაუპატიურა ციხეშიო, ესეც უკვე ალბათ არავის გაუკვირდება (ოქროპირიძისგან), მაგრამ, აი, დამაჯერებლად მჭმუნვარე ერის მამების და ერის დედების დიდი დეფიციტია სუპრემ ნაცმოძეებში! ის დროა, მადამ ტიუსოს მუზეუმიდან მარკუს ავრელიუსის ან დიოკლეტიანეს ფიგურას ყიდულობდნენ, მაგრამ სააკაშვილის გვერდით მარკუს ავრელიუსს მართლა ინფარქტი დაარტყამდა შეძრწუნებისაგან, ხოლო დიოკლეტიანე, ალბათ, თავის სანუკვარ კომბოსტოებსაც კი დათხრიდა და სიამოვნებით თავში ხეთქავდა...

და კიდევ არის ერთი ფოკუს-ჯგუფი – გატრუნული ავაზაკები... მათი უმრავლესობა მოტყდა ქვეყნიდან და პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაზე ფიქრობს სერიოზულად. ნაწილი კი აქაა განაბული და X დღის დადგომას ელოდება მოუთმენლად. მათ საბოტაჟის და ტერაქტების განხორციელება აქვთ დავალებული და კარგად ესმით, რომ „საზიზღრებისაგან“ განსხვავებით მათ გადარჩენაზე არავინ არც კი იფიქრებს, თავად უნდა გაიკეთონ შავი გასასვლელიც, გრიმიც და ყვარყვარეს კაბაც მათივე საზრუნავია...

და, როგორც უკვე გითხარით – ორი კარგად გაწვრთნილი ქორო... სხვათა შორის, არ იფიქროთ, რომ დასის წამყვან მსახიობებზე ნაკლებმნიშვნელოვანი არიან, ან – ნაკლებს იღებენ, ზოგიერთები მაინც! ქორო უძახე შენ და, ერთში ისეთი დონის „კლასიკოსებიც“ კი არიან, როგორც ვილფრედ მარტენსი, კარლ ბილდტი, ვალერია ნავადვორსკაია, იულია ლატინინა, მატვეი განაპოლსკი! ეგენი რომ შეწყობილ კაკაფონიას დაიწყებენ, პათეტიკურსაც ჩაახშობენ და ჰეროიკულსაც!

მეორეში ადგილობრივი ურნალისტები მოღვაწეობენ. ყოველდღე უფრო სასტიკი ხდება მათი თავგანწირვა, ყოველდღე უფრო მეტად იჭრიან უკანდასახევ გზას – გზას ადამიანობისაკენ, ეთიკისაკენ, ხალხისაკენ, ქვეყნისაკენ, საკუთარი (ადრინდელი!) წარსულისაკენ... ბუტა რობაქიძის პოსტმორტემ ჩარეცხვა და მშობლებისათვის მთელი დღის განმავლობაში საშინელი წარსულით მოუშუშებელ ჭრილობაზე მარილი ფუთობით ყრა ისეთი დონის ნაძირლობა იყო, რომ ურნალისტების მრავლისნახველი მკვლევარიც კი დამამუნჯა...

ჰოდა, ასეთი სურათია, მამავ და შვილო! (ჰიჩკოკს და ტარანტინოს ვესაუბრები).

აქვს ამ ხალხს გეგმა – გეგმა აქვს.

დედააფეთქებული გეგმაა და დედისამფეთქებლად ადვილად შეიძლება ტრანსფორმირდეს, მაგრამ ხომ მაგარია?!.

ასეა, როცა მრავალ დარს და ავდარს გამოივლი, სულ უფრო მაგრდები ძაღლის ძვალივით!

რეჟისურა, სცენარი, პარტიტურა, მუსიკა, დამკვრელები, სექსპერტები, ურნალისტები, პოლიტიკანები, ბოზები, ნაბოზვრები, გემები, იარაღი, სექსი, ტრანსვესისტები, მერი, კაზინოები, კოკაინი, სტრიპტიზები, ფული, სისხლი, ოფლი და ქაქი... ყველაფერი ეს არის... ერთი-ორი წიგნიც არის, რეკვიზიტად – მაგალითად – „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის!“ (ბოლო თავში ის 15-წუთიანი სარეკლამო კლიპი აკლია მხოლოდ, თბილისის ზღვაზე ჩინური ქალაქის პროექტის რეკლამირებას რომ ისახავს მიზნად!).

თოფიც კიდია კედელზე.

ბილეთებიც გაყიდულია,

ანონსიც არის – „აპრილი“. წერდნენ ბრიოლინიანი პრანჭია ბიჭი და მედოლე ბიჭი... შენ დაუკარო, ნუ...

– ჩვენ ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომ შეგზარავთ! – ამბობდა წესიერი კაცი – ჰიჩკოკი!

– მე თქვენ გაჩვენებთ ბევრ სისხლს და მკვლელობას, მაგრამ ისე ტრივიალურად, რომ თქვენ გაგეცინებათ, თან ბევრჯერ, – გვაფრთხილებდა ტარანტინო, ასევე განათლებული და წესიერი კაცი, უბრალოდ, მაგარი პროვოკატორი...

– გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის! მე თქვენთვის ბედნიერება მომაქვს! მე ვიქნები თქვენი აღმაშენებელი! არასოდეს ასე სწრაფად არ განვითარებულა ჩვენი სამშობლო! ჩვენ ვართ პირველები მსოფლიოში! – იძახოდა ჩვენი ნერონკალიგულა და კარგად ფუთავდა ვარდისფერ მაკულატურაში ათობით დახოცილს, ასობით გაძევებულს, ათასობით გატყავებულს, ათეულათასობით უსამართლოდ დასჯილს და მილიონობით დამშეულს და გაჭირვებულს! – ასე ცხოვრობდა და ლაქლაქებდა ჩვენი ავზნიანი პინოქიო და სულ უფრო მეტი მონეტის ჩაფვლას გვაიძულებდა მის მიერ უკვე წარმატებით პრივატიზებულ „საოცრებების მინდორში“...

სპექტაკლი გრანდიოზულადაა ჩაფიქრებული, მთავარი მაყურებელნი უცხოეთის ლოჟაში განლაგდებიან, ამჯერად თავად ნერონმა დაწერა სცენარიც, პარტიტურაც და დეკორაციებიც თავად დადგა... მე შენ გეტყვი და რომელიმე უნარჩვევას უჩივის გიულიევიჩი!

ბევრი ცდა აღარ დაგვჭირდება... ერთი რუბიკონი ჩააგდო უკვე, ფეხი ვერ დაისველა... მეორეზე ვნახოთ – შეიძლება დაისველოს...

ისტორია მეორდება ერთხელ როგორც ტრაგედია, მეორედ – როგორც ფარსი...

ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ იმ horror movie-საგან განსხვავებით, ჰიჩკოკი და ტარანტინო რომ დგამდნენ, ჩვენი „ჰორორი“ „მუვი“ არ იყო... და ჩვენ ჩვენი სიცოცხლით, ნერვებით და ჯანმრთელობით გადავიხადეთ ამ საშინელი რეჟისურის ფასი, რომლის „ოსკარი“ მან მიითვისა, ვინც ახლაც დადგმებს გეგმავს, მაგრამ ვისაც ახლა სულ სხვა „ჯილდო“ ელოდება....

მე მგონი, ეს ის შემთხვევაა, როცა მოდელირება დიდი გაზგაშვებით დამთავრდება!

როცა კედელზე ჩამოკიდებული თოფი კი გაისვრის, მაგრამ მხოლოდ „ფუყ!“-ს იზამს...

როცა ნიჭიერი, მაგრამ ახვარი პოლიტიკოსი ვერ მიაღწევს რეჟისურაში ტარანტინოს და ჰიჩკოკის სიმაღლეებს იმიტომ, რომ სადაც „ოსკარებს“ არიგებენ, იქ ადამიანის სისხლი და ტვინის გასხმული ნაწილაკები ნამდვილი არ უნდა იყოს! ხოლო იქ, სადაც ადამიანის სისხლი და ტვინის ნაწილაკები ძალიან ნატურალურია, სადაც სადიზმი, გაუპატიურება და წამება სინამდვილეში ხდება, იქ „ოსკარი“ არ რიგდება! და მოკლული ადამიანისთვის საქმის შემკერავ და ბარიდან მოსაკლავად კაცის წამყვან ტიპებს ჟურნალისტად არავინ უნდა განიხილავდეს, და ინტერვიუზე გაპრავების შანსს არ უნდა აძლევდეს, თუნდაც ამ ცოტნედადიანობის ახლადგამოჩეკილ ვირთხას ნერონისგან დაწესებული სანაქებო ჟურნალისტის ყველა ლენტი და ორდენი ჰქონდეს დაბნეული ყველა სათუთ წერტილში...

მთავარი, რატომღაც მე მჯერა, რომ ეს ყველაფერი ფარსი იქნება, რადგან ეს ნაცმოძური ლომი უკვე ჭიანჭველების ლომად ქცეულა... სააკაშვილის სერიოზული გასართობი უკვე კალის ჯარისკაცებით სამხედრო ოპერაციების დაგეგმვაა, და როცა ყოფილი ხერხემლის გამოცხადებულ მხარდაჭერის აქციაზე ქუთაისის მერიის მხოლოდ 30-მდე თანამშრომელი მიდის და მათგან მხოლოდ ორს აქვს სურვილი, ვანო მერაბიშვილთან სურათი გადაიღოს, ეს მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს

ეს არც ფილმია და არც მოდელირება, ეს მხოლოდ ჭინთვებია...

ჭინთვები, რომელიც ფიქტიური ორსულობის იმიტაციის სურვილითაა განპირობებული...

მოემზადეთ ბატონებო და ქალბატონებო! პირველი ზარი უკვე დაირეკა და ვარდისფერი შეგშენიც მალე დაიწყება.

პირველად მსოფლიოში! – ტრაგედიასა და ფარსს შუა გაჭედილი “მოდელირებული ჰორორის ქრონიკა... ბლომად მაზოხისტურ-ექსჰიბიციონისტური პაპრიკით!

**სოლომონ თერნალი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვითარება



# ვინ და რატომ სდევნიდა ბიძინა გიორგობიანს?

**რვაწლიანი ემიგრაციის შემდეგ გერმანიიდან დაბრუნებული სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ბიძინა გიორგობიანი მის წინააღმდეგ მოქმედ მთავარ პირებად დათა ახალაიას, ვანო მერაბიშვილს, ამირან მესხელსა და გივი თარგამაძეს ასახელებს და აცხადებს, რომ მას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები დევნიდნენ. მასზე ინტერპოლით წითელი ცირკულარით ძებნა კი გივი თარგამაძის უშუალო მითითებით გამოცხადდა, რამაც გერმანიაში ცხოვრება ძალიან გაურთულა, მიუხედავად იმისა, რომ მას გერმანიის მოქალაქეობაც ჰქონდა.**

**For.ge ბიძინა გიორგობიანს ესაუბრა.**

**— თქვენ კურირებდით სატყეო სექტორს, თუმცა იძულებით მოგიხდათ საქართველოს დატოვება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი პოზიცია, ასევე, რას იტყვით სატყეო ბიზნესის ირგვლივ, რომლის სქემაშიც, როგორც ითქვა, თავიდან ვანო მერაბიშვილიც იყო ჩართული?**

— ეს საწყის ეტაპზე ხდებოდა, თორემ შემდეგ უკვე ისინი კორუფციის სხვა სქემებით მუშაობდნენ და მათ სატყეო ინტერესები ამ მიმართულებით დაკარგეს. იმ პერიოდში, 2004 წელს, როდესაც მე იქ ვმუშაობდი, მათ, რასაკვირველია, ჰქონდათ ინტერესი და სურდათ მოეშორებინათ ის ადამიანი, რომელიც იქ მუშაობდა, ანუ — მე. სურდათ, იქ ყოფილიყო მათთვის სასურველი ვინმე და მათი გუნდის წევრი.

**— სატყეო დეპარტამენტში შემოგზავნილების შესახებ რას გვეტყვით, რომლებიც თქვენს გვერდით მუშაობდნენ? და ზოგადად, რას იტყვით იმ ე.წ. მრჩევლებზე, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროსაც ჰყავდა.**

— იქ სხვადასხვანაირი ადამიანები მუშაობდნენ. პირადად მეც ძველი კადრების ნაწილი სამუშაოდ დავტოვე. თურმე ადამიანების ნაწილი ჩემს წინააღმდეგ მუშაობდა და შემდეგ უკვე სასამართლოში აკეთებდნენ იძულებით განცხადებებს. თუმცა, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ.

**— ანუ ე.წ. მიმაგრებულები და „დავერბოვკებულები“?**

— ალბათ, ასეთი ადამიანები იყვნენ. „დავერბოვკებულს“ მათ მაინც ვერ ვუწოდებ, უბრალოდ, მათ თავიანთი სურვილები ჰქონდათ.

**— ემიგრაციაში წასვლიდან სამ დღეში, თქვენი სატელევიზიო მიმართვის გავრცელების შემდეგ, ვანო მერაბიშვილმა დაგირეკათ და თქვენთან ურთიერთობის დალაგება სცადა.**

— ტელეფონზე დამირეკა და მითხრა, მე არ ვიცოდი ეს ყველაფერი, აქ რომ ვრცელდება პრესით და ტელევიზიით ინფორმაციაო, რაზეც მე ვუპასუხე, რომ მშვენივრად იცოდა და სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ ამ ყველაფერს.

**— როგორ შეაფასებთ საქართველოში დღეს არსებულ სიტუაციას?**

— ეს არის პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო აქტი — პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებისა და პოლიტიკური დევნილების გათავისუფლება. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, მომავალი პოლიტიკური თაობებისთვის ძალიან კარგი მაგალითი და საზოგადოების გახსნილობისთვის დიდი იმპულსი იქნება. საქართველოში 2004 წელს გაფორმებული და დამყარებული ერთპარტიული მმართველობის შედეგები უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ყველამ ვნახეთ. რაკი პოლიტიკურმა ოპოზიციამ სიტუაციის უსისხლოდ გადატეხვა არჩევნების საშუალებით შეძლო, ეს პოზიტიურია, ისევე, როგორც ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ეკონომიკის ადამიანისკენ შემობრუნების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მხრივ, საიდანაც გამორიცხული იქნება ერთი პიროვნების ინტერესი, მისი გართობა, თვითმფრინავები და აუზები. ადამიანი უნდა იდგეს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ინტერესების ცენტრში.

**— ალბათ, ემიგრაციიდან უფრო ობიექტურად ხედავდით რეალობას. ნაციონალების ლობისტების ჩარევის მიუხედავად, დასავლეთიდანაც ასე ჩანდა ეს ყველაფერი?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ეს პარტია სახელმწიფო ხაზინიდან აღებული ფულით ქირაობდა ლობისტურ ჯგუფებს, რომლებიც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას ლობირებდნენ და არა საქართველოს ინტერესებს. წლების განმავლობაში მათ აბსოლუტურად დაიპყრეს საზღვარგარეთ არსებული საინფორმაციო ველი, რისი გარდატეხაც „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო. გასული წლის ზაფხულში საზღვარგარეთ ჩვენ შევძელით გარკვეული ბალანსის დაცვა, რათა მიგვეწოდებინა ობიექტური და სწორი ინფორმაცია. სწორედ იმ ფონდმა ჩაატარა კვლევები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. სხვათა შორის, მაშინ „ნაცმოძრაობის“ ოფისში ჩაატარეს პრესკონფერენცია ნაციონალების სხვადასხვა ლიდერებმა — დარჩიაშვილმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა, გოკა გაბაშვილმა და მსგავსმა სახეებმა და აღნიშნეს, რომ ეს კვლევა, რომელიც ჩატარდა კომპანია „პენ შონ ბერლანდის“ მიერ, არ იყო მართალი. არადა, მაშინდელი კვლევის შედეგებსა და არჩევნების შედეგებს თუ გაიხსენებთ, იქ ცდომილება ძალიან ცოტაა. უფრო მეტიც, ეს კვლევა თითქმის ემთხვეოდა არჩევნების შედეგებს.

ბიძინა გიორგობიანისგან ტყუილი ჯერ არავის სმენია, მათი ტყუილები კი მთელმა მსოფლიომ იცის. სწორედ მათი ტყუილების შედეგი იყო 2008 წლის ომი და, ასევე, მათგან დანგრეული და ჩაოხრებული საქართველო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სერიოზულ პოლიტიკურ წრეებში სააკაშვილის სერიოზულ პოლიტიკოსად აღქმა უკვე შეწყვიტეს. თუმცა, მას ჰყავს დაქირავებული რამდენიმე პიარჯგუფი, რომლებიც მასზე მუშაობენ. ამით შეიძლება ჯუჯა ადამიანი ვირტუალურად გოლიათად წარმოაჩინონ, მაგრამ როდესაც მას პირადად ნახავენ და მის გაკეთებულს პირადად გაეცნობიან, დარწმუნდებიან, რომ ეს ტყუილია და მეორედ აღარ დაუჯერებენ ასეთ ტყუილებს.

**— თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დასავლეთი გარკვეულ მიზეზთა გამო ამაზე თვალს ხუჭავდა.**

— დასავლეთი ხუჭავდა თვალს, თუმცა, უფრო ზუსტად, თვალს კი არ ხუჭავდა, უბრალოდ, დასავლურ დემოკრატიას არ ჰყავდა სანდო პოლიტიკური პარტნიორი საქართველოში. როგორც კი ასეთი პარტნიორი გამოჩნდა, მაშინვე მასთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ დათა ახალაია, მერაბიშვილი გდევნიდნენ.**

— სააკაშვილის თანხმობით, მდევნიდნენ პირადად ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია, ამირან მესხელი, თავიანთი ხელქვეითებისა და ოფიცრების ხელშეწყობით.

**— კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა თქვენი დევნა?**

— ჩემს წინააღმდეგ საქმის ფალსიფიცირებაში. იძულებისა და დაშინების წესით იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომელს აიძულებდნენ, ჩემს წინააღმდეგ ყალბი დასკვნა დაეწერა, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. ასევე, ისინი აიძულებდნენ კონტროლის პალატის თანამშრომლებს, ჩემს წინააღმდეგ დაეწერათ ყალბი დასკვნა, რის საფუძველზეც მე დამაპატიმრებდნენ. მათ პირდაპირ ეუბნებოდნენ, დაგვიწერეთ ისეთი დასკვნა, რომ დავიჭიროთ გიორგობიანი. ახლა ეს ძალიან ვრცელი თემაა, თუ რა უნდა დაეწერათ მათ, თუმცა, ეს ვერ მოახერხეს. ამიტომ, ამ ადამიანების დევნა დაიწყეს, ისინი გაათავისუფლეს სამსახურიდან, ზოგიც პასუხისგებაში მისცეს, მათ ადგილას კი თავიანთი ხალხი დანიშნეს და შემდეგ მათ უკვე დაწერეს ის, რის საფუძველზეც ჩემს დაუსწრებლად ჩატარდა სასამართლო პროცესი და მე აბსოლუტურად ყალბი საქმის წარმოების საფუძველზე მომესაჯა ექვსი წელი პატიმრობა და შემდეგ უკვე ინტერპოლით გამოაცხადეს ჩემზე ძებნა.

**— თქვენ მაინც მოახერხეთ საქართველოს დატოვება. რამდენად პრობლემატური იყო ეს იმ პერიოდში?**

— აეროპორტიდან არ დამიტოვებია საქართველო. მე ჩემმა მეგობრებმა გამაცილეს საქართველოდან.

**— ზურაბ ჟვანიას ფაქტორსაც შევეხოთ. თქვენ ჟვანიას გუნდის წევრი ბრძანდებოდით და აღნიშნეთ კიდეც, რომ ჟვანია გეუბნებოდათ, რომ მას ყოფილ პარტნიორებთან გაუცხოება დაეწყო.**

— ამ თემაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. ეს სპეკულაცია გამოვა ჩემგან, რადგან რაიმე მნიშვნელოვან თემაზე ჟვანიასთან დაკავშირებით საუბარი არ მქონია. უბრალოდ, მან აღნიშნა, რომ არ ჰქონდა საამო ურთიერთობა ძველ პარტნიორებთან. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რაც ადეიშვილმა და მერაბიშვილმა სპექტაკლი წარმოაჩინეს ზურას გარდაცვალების შემდეგ და ეს გაზის გაჟონვას დაუკავშირეს, ეს ცრუ ვერსიაა, რომელიც თავს მოახვიეს საზოგადოებას. ვფიქრობ, იქ არის ბევრი კითხვის ნიშანი და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში გავიგებთ, სინამდვილეში რა მოხდა.

**— სამომავლოდ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას თუ აპირებთ?**

— დიდი ხანია, არ ვყოფილვარ საქართველოში. ჯერჯერობით ჩემი პირადი ნაცნობების, მეგობრების მონახულებით ვარ დაკავებული.

**— პოლიტიკაში დაბრუნდებით?**

— სიმართლე გითხრათ, წინასწარ არაფერი არა მაქვს განსაზღვრული.

**მანანა ნოზაძე**

რკინიგზა

# ეზუგბაიამ მილიარდიანი ვალი დაგვიტოვა!

**„საქართველოს რკინიგზამ“ ივლისში 500 მლნ დოლარის ოდენობის 10-წლიანი ობლიგაცია გამოუშვა. ამით მან მანამდე არსებული 250 მლნ ვალი კი გაისტუმრა, თუმცა, ვალების ყულაბას ახალი, 250 მლნ ვალი დაამატა. ექსპერტები თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ „საქართველოს რკინიგზას“ ევროობლიგაციების ვალების დასაფარავად ძველ ვალებზე ახლების დამატება მოუწევდა. ვარაუდი გამართლდა.**

სპეციალისტთა განმარტებით, როდესაც კომპანია ვალებს იღებს, თანხები შემოსავლების გაზრდისაკენ უნდა იყოს მიმართული, 2010 წელს ვალად აღებული 250 მლნ დოლარი შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. მიზანი იყო თბილისის ცენტრალური ნაწილის სარკინიგზო ხაზებისა და სადგურებისგან განთავისუფლება, მაგრამ ექსპერტები ამაში ვერ ხედავენ რკინიგზისთვის მომგებიან ტენდენციებს. მშენებლობით არ მცირდება მანძილი, ტვირთბრუნვების გაზრდისათვის არ მცირდება ტარიფები. მაშინ რკინიგზაში აცხადებდნენ, რომ ეს ვალები მოხმარდება სხვადასხვა მოდერნიზაციის პროექტს.

## ობიექტის ყოფილი თავკაცი კი „აორთქლდა“, მაგრამ სხვა არავინაა პასუხის მოსაკითხი?

„მოდერნიზებული პროექტის“ სიმწარე კარგად იწვნიეს მათ, ვისაც ხშირად უწევს მგზავრობა დასავლეთ საქართველოდან თბილისისკენ და პირიქით. მთავრობა ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელი იყო ერთი ელმავლისთვის (თბომავლისთვის) ჩაებათ დასავლეთის დიდი ქალაქებისაკენ მიმავალი ვაგონები (ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ფოთი) და თითოეული ამ ქალაქისაკენ მიმავლისთვის შემადგენლობა ეწოდებინათ. ამით იგი (რკინიგზა) ხელოვნურად ზრდიდა გრაფიკით მოძრავი შემადგენლობების რაოდენობას. მაგრამ ის, რომ მგზავრთა რაოდენობა ნაკლები იყო, არავის ადარდებდა. მთავარი იყო, ეპატაკებინათ სააკაშვილისთვის, რომ ხაზზე მოძრავი ამდენი სამგზავრო შემადგენლობის მიუხედავად, შეუფერხებლად გადაადგილდებოდნენ სატვირთო ეშელონები.



იმის გამო, რომ დიდ რეგიონალურ ცენტრებში მხოლოდ 2-3 ვაგონი იყო გათვალისწინებული, გაჩნდა დეფიციტი სამგზავრო ბილეთებზე. ამით ეზუგბაიას უწყებამ მშვენივრად ისარგებლა და მგზავრობის ღირებულებას მეთოდურად აძვირებდა. ფასების ყოველ ზრდას ახლდა დაპირებები — ეს მხოლოდ სეზონური გაძვირებააო.

სამგზავრო „შემადგენლობების“ მოძრაობის პრინციპი ამგვარი იყო: ზუგდიდისკენ და იქიდან თბილისისაკენ მიმავალ „სასტავს“ ერთი გამწევი ექაჩებოდა. საკვანძო ქალაქ სამტრედიაში შემადგენლობას ჩახსნიდნენ ფოთისა და ოზურგეთისკენ მიმავალ 2-2 ვაგონს და სპეციალურად მომლოდინე გამწევ ტექნიკას ისინი დანიშნულების ადგილისაკენ მიჰყავდათ.

იხ. 6 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიმართვა

# ქვეყნისთვის საჭირო ადამიანები საქართველოში უნდა დაბრუნდნენ!

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

**ბატონო დავით,**

ეს პირველი წერილია, რომლითაც „ქართულ-ოსური მისია" მოგმართავთ. გთხოვთ, მიიღოთ პატივისცემის და თანამშრომლობის დასტურად. ასეთია მისიის განწყობა, რომლის შემადგენლობაში საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები არიან, მათ შორის სოხუმიდან და ცხინვალიდან.

წინადადება თანამშრომლობის თაობაზე თქვენ გეკუთვნით: 2012 წლის 19 დეკემბერს თქვენთან შეხვედრაზე ჩვენი მისიის წევრებს, ქალბატონებს ინესა იამანიძეს და მარინა კაჟაშვილს, ბატონებს ფერდინანდ ლორთქიფანიძეს და გიორგი გაგლოევს შესთავაზეთ წინადადება პარლამენტის კომიტეტებთან, საერთოდ პარლამენტთან თანამშრომლობის თაობაზე.

დარწმუნებული ვართ, თქვენს პოზიციას გაცილებით მეტად გაიზიარებენ პარლამენტის კომიტეტები. ეს ჩვენი სურვილიც არის და მიგვაჩნია, რომ დიდად წაადგება ჩვენს საერთო მიზანს.

**ბატონო დავით,**

დრო და შექმნილი სიტუაცია ბევრ საკითხს გვკარნახობს განსახილველად და გადასაჭრელად. ამ ეტაპზე გამოვყოფთ სამ უმნიშვნელოვანესს, რომლებზეც, ჩვენი აზრით, ღირს დაფიქრებაც და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაც.

**პირველი — ურთიერთმიმოსვლა, ადამიანთა ურთიერთობებისთვის პირობების შექმნა.**

დასანანია, რომ აზროვნებისათვის მიუწვდომლად არის გართულებული საქართველოს მოქალაქეების გადაადგილება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ანუ ჩვენს მიერვე აღიარებულ საქართველოს საზღვრებში. კიდევ უფრო გვიჭირს იმის თქმა, რომ მიმოსვლას ქართული მხარის წარმომადგენლები გაცილებით მეტ წინააღმდეგობას უწევენ.

ჩვენი წინადადება კონკრეტული და ლაკონურია: **საქართველოს ყველა მოქალაქეს ქართული მხარისაგან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა შეეძლოს გადაადგილება როგორც სოხუმის, ისე ცხინვალის მიმართულებით.**

**მეორე — პატიმართა საკითხი.**

რამდენიმე თვის წინათ „საქართველოს ხალხთა ასამბლეამ" მოგვმართა თხოვნით, დაგვეზუსტებინა პატიმართა სია სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. სამწუხაროდ, დღემდე ეს ვერ შევძელით. გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს სია უბრალოდ არ არსებობს და გამოვრიცხოთ ექსპერტთა გარკვეულ წრეებში გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ იგი თითქოს გასაიდუმლოებულია.

**ვფიქრობთ, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან საუბრისას ამ თემით სპეკულაციის საფუძველი ყველას უნდა მოვუსპოთ. გვჯერა, ჩვენს გულწრფელ დამოკიდებულებას ჩვენი ძმების ასეთივე განწყობა მოჰყვება. ეს კი კარგი საყრდენი იქნება მომავალი ურთიერთობებისათვის.**

ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი კვირის წინათ მივმართეთ სასჯელაღსრულების მინისტრს ბატონ სოზარ სუბარს და სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს.

გვინდა გთხოვოთ თანადგომა. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვითანამშრომლებთ პარალმენტის იმ კომიტეტებთან, რომლებსაც თქვენ ჩათვლით მიზანშეწონილად.

**მესამე — პოლიტიკური დევნილები.**

**„ქართულ-ოსური მისია" სრულად იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებთან დაკავშირებით.** თქვენ გაბედული ნაბიჯი გადადგით, მაგრამ პრობლემა სრულად უნდა მოიხსნას.

ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ „ნაციონალური" ხელისუფლების მიერ ბიზნესთან დაკავშირებული სამი პიროვნება განსაკუთრებულ დევნას და შევიწროებას განიცდიდა, იძულებული გახადეს, დაეტოვებინათ საქართველო. **კონსტანტინე სალია — აფხაზია, გოჩა ძასოხოვი — ოსი, ქიბარ ხალვაში** — აჭარელი. ამ უკანასკნელის მიმართ თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება და მასზე არ ვისაუბრებთ. არა გვგონია, რომ საქართველოს სახელს მატებდეს კონსტანტინე სალიასა და გოჩა ძასოხოვის დევნილობაში ყოფნა, მით უფრო მაშინ, როცა, ჯერ ერთი, ავიწროვებდნენ, უსამართლოდ მოექცნენ, ხელყვეს მათი საკუთრება და, მეორე მხრივ, **უამრავი კეთილი საქმე აქვთ გაკეთებული და სამომავლოდაც ასევე არიან განწყობილნი.**

კონსტანტინე სალია — ერთ-ერთი გამორჩეული და ღირსეული პიროვნება ქართული საზოგადოებისათვის, პიროვნება, რომელსაც უამრავი ნათესავი აფხაზეთში ჰყავს — ყოველთვის მხარს უჭერდა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, პირდაპირ ვთქვათ, სიმბოლო იყო ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის, უდიდესი ნდობით სარგებლობს გერმანელ ბიზნესმენთა შორის — იძულებული გახადეს ოჯახთან ერთად დაეტოვებინა საქართველო. ამჟამად გერმანიაში აქვს მიღებული თავშესაფარი.

გოჩა ძასოხოვი — წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი, რომელსაც სააკაშვილი საჯარო გამოსვლებში გმირს უწოდებდა, მისგან მორჩილებას ელოდა. ვერ მიიღო — გასწირა. **გასწირა კი იმის გამო, რომ მან უარი თქვა არა უბრალოდ თანამდებობაზე, არამედ უაზრობა უწოდა სამხრეთ ოსეთის მეორე მთავრობის შექმნის იდეას, რადგან მიაჩნდა, რომ ეს არც ქართველების და არც ოსებისთვის არ იყო კარგი.** ამის გამო თქვა უარი სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარეობაზე დევნილობაში, დეპუტატობაზე ლიახვის ხეობიდან. ერთ დღეში პრეზიდენტის მიერ გმირად, წარმატებულ ბიზნესმენად და მეცენატად წოდებული, მის მიერვე შერისხული გახდა. პრეზიდენტის რისხვა აღასრულეს მისმა მორჩილებმა. გენერალურმა პროკურორმა ადეიშვილმა თქვა: — **„გოჩა ძასოხოვის მხოლოდ გვარს დავტოვებთ საქართველოშიო"** და თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის კაბინეტში გამოუცხადეს განაჩენი — **„გადააფორმე შენი ბიზნესი ჯოზეფ ქეიზე."** ამოქმედდა პრეზიდენტის მორჩილი სასამართლო სისტემა — დაუსწრებლად განაჩენი გამოუტანეს, რომელზეც შემდგომ 9 წელი დაუმატეს... საკუთარი სახლის შესყიდვის მცდელობისთვის(?!).

გასული წლის ნოემბერში პრესაში გამოქვეყნდა ბატონი გოჩა ძასოხოვის უაღრესად ამაღელვებელი და დამაფიქრებელი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი: **„მე მქონდა არჩევანი — შემენარჩუნებინა ბიზნესი და დამეკარგა ღირსება, ან მიმეღო ღირსეული გადაწყვეტილება და დამეკარგა არა მხოლოდ ბიზნესი".** ჩვენ ეს მიმართვა „ქართულ-ოსური მისიის" გაფართოებულ სხდომაზე განვიხილეთ და იმის შემდგომ, რაც გაზეთში წავიკითხეთ და რაც სხდომაზე მოვუსმინეთ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ჭიდაობაში, რომან რურუას, **ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა დადგინდეს სიმართლე ბატონ გოჩა ძასოხოვთან დაკავშირებით და ქვეყნისთვის საჭირო კაცი ქვეყანაში დაბრუნდეს.**

ჩვენ უკვე დიდი ხანია, გვაქვს შემოტანილი თხოვნა საქართველოს პარლამენტში, რომ მას მიენიჭოს პოლიტიკური დევნილის სტატუსი; ასევე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა გამოძიებულ იქნას გოჩა ძასოხოვის წერილში მოყვანილი აღმაშფოთებელი ფაქტები.

გთხოვთ, თანადგომას სიმართლის დადგენაში.

ბატონო დავით,

**ვფიქრობთ, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამივე საკითხი საჭირბოროტოა. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, „ქართულ-ოსურ მისიას" ბევრი სხვა საკითხიც აქვს.**

**დარწმუნებული ვართ, მიიღებთ ჩვენს წინადადებას და გამოძებნით დროს უახლოეს პერიოდში შეხვედრისთვის. ეჭვი არც იმაში გვეპარება, რომ ამ შეხვედრაზე მივიღებთ პასუხს ჩვენს მიერ დასმულ საკითხებზე.**

პატივისცემით
**რეზო ამაშუკელი,**
„ქართულ-ოსური მისიის" თავმჯდომარე

ვაი, სირცხვილო!

# „რუსთავი 2"— წამყვანი მიშავიზია!

**„მერამდენედ უნდა მომკლან ჩემს შვილთან ერთად?!" — კითხულობს მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი „რუსთავი 2" -ის მიერ გავრცელებული კადრების ნახვის შემდეგ. მას აინტერესებს, ისევ დონაძის დრო ხომ არ არის და უნდა ბედავდეს თუ არა დონაძე ამდენს და ისევ უნდა დასცინოდეს?!**

ამ აზრს იზიარებენ „რუსთავი 2"-ის შენობასთან გამართული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც. ისინი აცხადებენ, რომ თავის დროზე „რუსთავი 2" იყო ავტორი ისეთი შინაარსის ტიტრებისა და გამავრცელებელი იდეებისა, თითქოს, ბუტა რობაქიძე ყაჩაღი გახლდათ. სწორედ „რუსთავი 2"-მა ამცნო საზოგადოებას, თითქოს, სანდრო გირგვლიანი სვანურ გარჩევას შეეწირა. ამდენად, აქციის მონაწილეები ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს მოუწოდებენ, შეწყვიტოს მსგავსი ფალსიფიცირებული ვიდეომასალების ჩვენება და ადამიანების ღირსების შელახვა.

შემდეგ კი ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიერ გავრცელებულ ვიდეო-მასალას გამოეხმაურნენ. ცხრა არასამთავრობოს მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში ნათქვამია, რომ გავრცელებული სიუჟეტით „რუსთავი 2"-მა დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული მოთხოვნები და ხელი შეუწყო დაინტერესებული მხარის პოზიციების ტირაჟირებას, რადგან არ გაითვალისწინა წყაროს შესაძლო დაინტერესება, არ ეცადა, გადაემოწმებინა ფაქტები და მოეძიებინა დამატებითი მასალები.

როგორც არასამთავრობოების განცხადებაშია ნათქვამი, ჟურნალისტმა სიუჟეტში განაცხადა, რომ ეს არის კადრები, რომელიც მანქანის გაჩერებიდან პირველსავე წუთებში არის გადაღებული. კერძოდ, „რუსთავი 2"-ის წამყვანმა აღნიშნა, „მაყურებელს შევახსენებ, რომ ეს არის უწყვეტი კადრებით გადაღებული, ანუ ამ კადრების გადაღებისას კამერა არც ერთხელ გათიშული არ ყოფილა. კადრებიდან ჩანს, როგორ დააკავა საპატრულო ეკიპაჟმა იმ მანქანაში მყოფები, რომლებიც ბუტა რობაქიძესთან ერთად იყვნენ და შემდეგ როგორ ამოაქვთ ამ მანქანიდან იარაღი - ერთი პისტოლეტი და ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი".

შესაბამისად, არასამთავრობოები თვლიან, რომ ჟურნალისტის ამ ტექსტით, ტელეკომპანიამ ფაქტად წარმოაჩინა პროკურატურისთვის დაინტერესებული პირის მიერ გადაცემული მტკიცებულება, რაც ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით ექსპერტიზასა და გამოკვლევას.

**„ამასთან, სიუჟეტში გამოთქმული იყო უმძიმესი ბრალდებები საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრის ვახტანგ კომახიძის მიმართაც და ინფორმაციის ასეთი სახით გავრცელებით, ტელეკომპანია თავს დაესხა იმ ადამიანს, რომელიც არ მონაწილეობდა პროგრამაში".**

**გარდა ამისა, ყველა ტელეკომპანიამ, რომელმაც გაავრცელა ეს კადრები, დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 35-ე მუხლის მე-20, 23-ე და 24-ე პუნქტები. კერძოდ, 23-ე პუნქტი: „ტანჯვისა და მწუხარების ამსახველი საარქივო მასალის (დანაშაულის ჩათვლით) გამოყენებისას, მაუწყებელი უნდა შეეცადოს, შემამცირის ის პოტენციური ტრავმა, რომელიც შესაძლოა, ამ მასალამ მიაყენოს მასში ასახულ პიროვნებას ან მის ნათესავებს".**




**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით For.ge იურისტებს ესაუბრა.**

**იურისტი თამარ კორძაია** აცხადებს, რომ ყველა ეთიკური კოდექსის თანახმად, სისხლის ამსახველმა კადრებმა, გარდაცვლილი პირის ახლო ხედით ჩვენებამ, შეიძლება, ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაზე და ამ მხრივ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ შეზღუდულნი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ტელეკომპანიას უნდა ეფიქრა, რას შესძენდა მაყურებელს ახალი კადრები და სწორედ ასეთი მსჯელობის შემდეგ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება. ამასთან, უნდა გაეთვალისწინებინათ გარდაცვლილი პირის ოჯახის მდგომარეობა, რადგან ქცევის კოდექსში ზუსტად წერია, რომ მათი თანხმობის შემთხვევაში, უნდა დაედოთ აღნიშნული კადრები ეთერში.

**„აბსოლუტურად სამართლიანი იყო გარდაცვლილი ბუტა რობაქიძის დედის პრეტენზია, რომ მისთვის უნდა ეჩვენებინათ ეს კადრები და მას ტელევიზიით არ უნდა გაეგო ამის შესახებ. გარდა ამისა, დაკავებული ახალგაზრდები კიდევ ერთხელ გამოჩნდნენ საზოგადოების წინაშე ღირსების შემლახავ მდგომარეობაში, როდესაც მათ თავზე იარაღი ჰქონდათ დადებული და პოლიციის თანამშრომლები მათ აგინებდნენ",** — აცხადებს თამარ კორძაია.

ამასთან, თამარ კორძაია ამ კადრების მიმართ დონაძის სავარაუდო ინტერესზეც საუბრობს, რადგან დონაძემ განაცხადა, რომ ამის შემდეგ მას აღარ აქვს მკვლელის იარლიყი, თუმცა, ეს გამოძიების თემაა.

**ადვოკატი ირმა ჭკადუა** კი აცხადებს, რომ კადრები მართლაც ძალიან მძიმე იყო ყველასთვის და მით უფრო, ოჯახის წევრებისთვის, რადგან გაფრთხილებულნი არ იყვნენ დაღუპულის დედა და ოჯახის წევრები.

**„როგორ შეიძლებოდა, რომ შვილის ბოლო ამოსუნთქვა აჩვენეს დედას. ეს ნიშნავდა, რომ ოჯახს განუახლდა ტკივილი და, პრაქტიკულად, ხელმეორედ მოკლეს. მე ვესაუბრე ქალბატონ იას და ვიცი, მისი იმწუთიერი მდგომარეობა. თანაც, ისე ცუდად შეიფუთა ეს ყველაფერი, რომ აღნიშნეს, თითქოს, ეს იყო სენსაციური და ახალი კადრები. სინამდვილეში, ბოლო ამოსუნთქვის კადრები მართლა არ იყო ადრე გავრცელებული, თუმცა დანარჩენი კადრები 5-6 წლის წინ გამოყენებული აქვთ ვახტანგ კომახიძეს და გოგა ხაინდრავას თავიანთ ფილმებში",** — აღნიშნა ირმა ჭკადუამ, **— ეს არის ტრაგედიის შემდგომ გადაღებული და დადგმული კადრები, სადაც მონაწილე პერსონებს როლები აქვთ გადანაწილებული და თამაშობენ. თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ კადრების გავრცელებით უფრო დაიმძიმეს იმ ადამიანებმა თავიანთი მდგომარეობა, ვისაც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. უფრო მეტიც, ადვოკატი განმარტავს, რომ კადრებით აშკარად გამოჩნდა, როგორ დარბოდნენ პოლიციელები იარაღებით, ამ დროს კი მათ თვალწინ კვდებოდა 18 წლის ბიჭი და იგი არავის ახსოვდა, მას ყურადღებას არავინ აქცევდა. არადა, ბავშვი რომ მანქანაში ჩაესვათ და საავადმყოფოში წაეყვანათ, შეიძლება, გადარჩენილიყო.**

თვით ის ფაქტი, რომ ამ კადრების გავრცელების შემდეგ ამ ადამიანებმა უფრო დაიმძიმეს მდგომარეობა, ირმა ჭკადუას არ უკვირს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ყოფილი ხელისუფალნი ასეთ რამეს მიჩვეულნი იყვნენ და პიარ-კამპანიებით, ტელეშოუებით კვებავდნენ როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე — დასავლეთს.

ირმა ჭკადუას აზრით, ყველამ იცის, რომ დონაძე „რუსთავი 2"-ზე „მოღვაწეობდა". ამდენად, იგრძნობა, რომ ტელეკომპანია დღესაც ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ არის და, წმინდა ადამიანური მოსაზრებით, საკუთარი ნება-სურვილით არ უნდა აკეთებდნენ ამას. ამასთან, სხვა ტელეკომპანიებიც ამ კადრებს არ უნდა გამოჰკიდებოდნენ.

**„სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლება დღემდე ახერხებს, რაღაცები გვიკარნახოს და ის თემა შემოიტანოს ტელესივრცეში განსასჯელად, რაც მათი ინტერესის სფეროშია",** — აცხადებს ირმა ჭკადუა.

**მარიამ ლოლაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მასმედია

# „ღია კარის“ ერთი საათი მამუკა ღლონტთან

**მამუკა ღლონტს ტელე და რადიოსივრცეში წარდგენა არ სჭირდება. მაინც ვიტყვი: იგი ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი მესაკუთრე და რადიო „მაესტროს“ გენერალური დირექტორია.**

**დაუპატიჟებელი სტუმრის მოურიდებლობით შევაღე მისი სამუშაო ოთახის კარი. თუმცა, კარი აქ პირობითი ცნებაა, რადგან მასთან ყველა თანამშრომელი წინასწარ შეთანხმებისა და ნებართვის მიუღებლად შედის. ოღონდ უსაქმოდ — არასოდეს.**

**მეგობრობა და ურთიერთსიახლოვე „მაესტროში“ კომუნიკაციის აღიარებული ნორმაა, მაგრამ, ეტყობა, მაინც — სამსახურის გარეთ, თუნდაც, ღლონტის აგარაკზე შეკრების დროს.**

**აქ — საქმე.**

**ჰოდა, მასპინძელი საქმეს რომ არ მოვაცდინო, ინტერვიუს დროის მონიშვნით ვიწყებ:**

— ოციოდ წუთი, ბატონო მამუკა.

— რამდენიც გნებავთ.

**დავიწყეთ ყოფილი ხელისუფლების ძალმომრეობით „მაესტროს“ წინააღმდეგ — ღობემძვრალა კიწმარიშვილით და დავამთავრეთ იმ დღეების სკანდალური ფაქტით, რომელიც თეა სიჭინავას „არგუმენტებში“ მიკროძალადობაში გამოიხატა — დავითაშვილ-რატიანის დებიუტშივე შეწყვეტილი ქართული სუმოს დემონსტრირებით.**

**ბატონმა მამუკამ არც ერთი მხარე არ გაამართლა, მაგრამ რატიანის თავგასულობა განსაკუთრებულად დაგმო:**

— როცა კაცმა ლამის თავზე დაამტვრია ჭიქა პროგრამის წამყვან ახალგაზრდა ქალს, იმ კაცს რა უნდა მოსთხოვო, რომელ წესიერებაზე უნდა ელაპარაკო?! ამის გამკეთებელი თუ ხარ, პოლიტიკას უნდა შეეშვა, საჯარო გამოსვლაზე ხელი უნდა აიღო და, საერთოდ, შინიდან არ უნდა გამოდიოდე... დაჯექი, შვილო, შინ და კომპიუტერული თამაშებით გაერთე!

**ამაზეც შევთანხმდით და სააკაშვილის ვადაგასულობაზეც, რომ „უტვინოა და უტვინოები ჰყავს შემოკრებილები“, რომ „ამაზე უტვინო ხელისუფლება ძნელი წარმოსადგენია“, დაბოლოს — „ნაცები“ ისტორიას არიან ჩაბარებულები“.**

**„მაესტრო“ — ტელევიზიაც და რადიოც რომ პოპულარული არხებია, მტკიცება არ სჭირდება. როგორ აღწევენ ამას?**

— პრინციპების ერთგულებით, შემოქმედებითი პროცესის თავისუფლებით — ჩვენ არ ვერევით სარედაქციო დამოუკიდებლობაში. გამონაკლისები არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფორმულიდან ამოვარდება რამე, ან მაშინ, თუ საკითხი სადისკუსიო და გასარჩევია, ან თუ რამე შეეშლებათ, რისგანაც არავინაა დაზღვეული. არასოდეს დაგვივალებია მოემზადებინათ ესა თუ ის სიუჟეტი, დაეპატიჟათ სტუმარი ჩვენი მითითებით და ა.შ. ამას წყვეტს რედაქტორი და პროდიუსერი. თავიანთ გადაწყვეტილებებს ისინი არასოდეს გვითანხმებენ.

**— მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ორივე მხარემ — ხელმძღვანელობამ და ჟურნალისტებმა კომფორტულ გარემოში იშრომონ, არავინ დასწამოს მიკერძოება და რომელიმე პარტიის სასარგებლოდ საქმიანობა.**

— თორემ, ხომ გახსოვთ, რამდენი ჭორი დადიოდა ქალაქში: „მაესტრო“ ხან ბურჯანაძის იყო, ხან — ვისი და ხან კიდევ — ვისი... სინამდვილეში „მაესტროს“ არავინ არასდროს არ აკონტროლებდა. ასეთი ჭორებისა თუ შიშის მოსახსნელად დავნერგეთ სრული თავისუფლების ის სისტემა, რომელითაც „მაესტრო“ დღეს მუშაობს.

**— მიმართულებასაც არ აძლევთ?**

— იმისდა მიხედვით, ვის ავიყვანთ სამსახურში, — ჟურნალისტი იქნება თუ პროდიუსერი, — განსაზღვრულია მიმართულება. არის რამდენიმე ე.წ. ჟურნალისტი, რომელიც „მაესტროში“ ვერასოდეს მოხვდება. მაგრამ, როცა ნინო ჟიჟილაშვილი მოვიდა ჩვენთან, მას თავიდანვე ნდობა გამოვუცხადეთ, და იგი თვითონ აკეთებს თავის საქმეს. ჩვენ არ ვერევით, არასოდეს.

**— თემებსაც არ კარნახობთ?**

— არა. ეს ჟურნალისტის საქმეა. ის უკეთ არის გარკვეული იმ სფეროს მიმდინარე პროცესებში, რომელშიც მუშაობს.

**— თქვენ რას აკეთებთ?**

— მე ჩემი საქმე მყოფნის, უამრავი საკითხი და თემა მაქვს, დაწყებული — სტუდიის დიზაინით, დამთავრებული ტექნიკური პრობლემებით, ისევე, როგორც გენერალურ დირექტორს და სხვებს. შესაბამისად, თავიანთ პროგრამებზე მთელი პასუხისმგებლობა აღებული აქვთ ნინო ჟიჟილაშვილს, თეა სიჭინავას და მათ პროდიუსერებს. ჩვენ მათ ვენდობით და მათი პროფესიონალიზმის გვჯერა. რაც ამართლებს.

**— თქვენს შენობაში ისეთი მასშტაბის სამუშაოები ვნახე — ახალი სტუდიები კეთდება, მონტაჟდება ახალი ტექნიკა და ა.შ., რასაც დიდი ფული სჭირდება. გაქვთ ამის თავი?**

— გვაქვს. პირველ ოქტომბრამდე, სანამ ყოფილი ხელისუფლება შეიცვლებოდა, „მაესტროს“ აფინანსებდა მაკა ასათიანი და ბევრი სხვა ადამიანი, ვისიც მადლობელი ვარ, მათ შორის — პოლიტიკოსებისაც.

**— იყო მათ შორის ბიძინა ივანიშვილი?**

— არ დავაკონკრეტებ მათ სახელებს, არც ბიძინას დავასახელებ, არც სხვას. მათთან ერთადერთი პირობა გვქონდა დადებული: თქვენ არ აფინანსებთ თქვენს საქმეს, თქვენ აფინანსებთ თავისუფალ მედიას, არ ერევით მის საქმიანობაში და არ ელით ამ მედიისგან სათქვენოდ გადმოდგმულ ნაბიჯებს. ამ პირობით ვიღებდით მათ დახმარებას. სხვა გზა არ იყო: რეკლამის მოტანა



ჩვენთან ხელისუფლებას აკრძალული ჰქონდა, სპონსორობა ისჯებოდა. ამიტომ ან ასეთნაირად უნდა დაგვეფინანსებინა „მაესტრო“, ან დაგვეხურა. დახურვით, ცხადია, არ დავხურავდით.

პირველი ოქტომბრის შემდეგ გადავედით თვითდაფინანსებაზე, რეკლამებისთვის გზა გაიხსნა, რამაც ბანკებში კრედიტის აღების საშუალება მოგვცა. დღეს ვინმემ ფინანსური დახმარება რომ შემოგვთავაზოს, უარს ვეტყვით, რადგან უკვე შეგვიძლია ჩვენვე ვიშოვოთ ფული: ან გავმდიდრდეთ, ან გავკოტრდეთ. ყველაფერი ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული.

**— ე.ი. ვინც ფინანსურად გეხმარებოდათ, თქვენთან აღარ არიან და რომც დაბრუნდნენ, არ მიიღებთ?**

— არა, არ მივიღებთ მათ დახმარებას, რადგან ვთვლით, რომ ტელებიზნესი, როგორც საერთოდ ბიზნესი საქართველოში, თავისუფლად, საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობით უნდა განვითარდეს. თუ კვლავ ვინმეს დახმარებაზე ვიქნებით დამოკიდებული, ვერ განვვითარდებით, ეს კარგად გვესმის.

**მალე „მაესტროზე“ მთავარ პოლიტიკურ არხს დაემატება ახალი — გასართობი არხი — „მაესტრო 24“ — სერიალები, რეალითი შოუ, მუსიკალური პროგრამა. მამუკა ღლონტი ამბობს, რომ ამას კარნახობს არსებული ვითარება:**

— საინფორმაციო ფორმატს საქართველოს მცირე სარეკლამო ბაზარზე თავის რჩენა არ შეუძლია — ძალიან ძვირი ჯდება. მის გადასარჩენად ვაკეთებთ გასართობ არხს, რომელიც ბევრად იაფია, შემოსავალი კი — დიდი.

**— „მაესტროდან“ წავიდა შალვა რამიშვილი, რომელმაც ამ არხის რეიტინგის ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი დილის გადაცემით, „აკრედიტაციის გარეშეთი“, „სუბიექტური აზრით“, მულტსერიალით „ბანანის რესპუბლიკა“.**

— როგორც ბატონმა შალვამ განაცხადა, მან ამოწურა თავისი თავი „მაესტროში“, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები, და წარმატებას ვუსურვებ იმ არხზე, რომელზეც გადავიდა. „მაესტროს“ ცოტა სხვა გეზი აქვს, სხვა მიმართულებით მიდის. ეტყობა, აქ მან საკუთარი ადგილი ვერ დაინახა. ესაა და ეს. მას უყვარს ასეთი გადაწყვეტილებების მიღება. ბევრი ჟურნალისტი გადავიდა „მეცხრე არხზე“, სხვა არხებზე, შემდეგ დაგვიბრუნდა. პრობლემას ამაში ვერ ვხედავ.

**— ბატონო მამუკა, აქედან ვერ წავალ ისე, რომ თქვენი აზრი არ შევიტყო ისეთ პოპულარულ გადაცემაზე, რომელიც ამოსუნთქვასავითაა, რომლის ნახვა რიტუალად იქცა. ვასიკო ოდიშვილის „აბებზე“ გეკითხებით. რა ბედი ელის?**

— „აბები“, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. ეს გადაცემა „მაესტროს“ საკუთრებაა. ცნობილი ამერიკული ფორმატია, ოღონდ — გადმოქართულებული. კახა ბექაურის იდეაა. დირექტორი იყო, როცა მთხოვა გამეკეთებინა ეს გადაცემა. რამდენიმე თვე ვავარჯიშე სცენარისტები და შედეგად მივიღეთ „აბები“.

— გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენი „აბები“ მხოლოდ მიმსგავსებულია ნახსენებ ფორმატს, თორემ სუფთა ქართულია, ორიგინალურია.

„აბების“ კურატორი მე ვარ. ძალიან კარგი სცენარისტების ჯგუფია შეკრებილი მის გარშემო.

**— ეს გადაცემის ხარისხიდან ჩანს.**

— მათ მუშაობაში მხოლოდ მაშინ ვერევი, თუ რამე არ მომეწონება სცენარში — ან მიმართულება არ ვარგოდა, ან ესა თუ ის ხუმრობა ზედმეტი იყო და ა.შ. იშვიათად ვურეკავ და ვთავაზობ ჩემს იდეას რომელიმე შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელსაც მათ რაიმე მიზეზის გამო ყურადღება ვერ მიაქციეს.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**P. S. და როცა საუბარი დავამთავრეთ (მე ხომ მგონია, ოც წუთში ჩავეტიე), აღმოჩნდა, რომ შეხვედრა საათზე მეტ ხანს გაწელილა: აინშტაინი მართალია — დრო ფარდობითი ცნებაა.**

**ა. ს.**

რკინიგზა

# ეზუგბაიამ მილიარდიანი ვალი დაგვიტოვა

(მეოთხე გვერდიდან)

ბილეთების დეფიციტმა კორუფციისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. ხშირად მოლარეებთან ალიანსში მყოფი გამცილებლები მათი ვაგონებისთვის განკუთვნილ ბილეთებს მთლიანად ან 90 პროცენტს მაინც ყიდულობდნენ. მგზავრების მსურველთ სალაროში მომუშავენი „პრავადნიკებთან“ აგზავნიდნენ. ამგვარად, გამცილებელი ნიხრს აწესებდა როგორც მოლარის წილის ჩათვლით, ისე პირადი სარგებლის მიღების გათვალისწინებით. სვლაგეზის სხვადასხვა გაჩერებაზე ამ მიზეზთა გამო ბილეთის შეძენა პრობლემაა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამგვარი დანაშაულებისთვის არაერთი მოლარე და გამცილებელი მიეცა პასუხისგებაში, განთავისუფლდა სამსახურიდან.

სპეციალისტთა, ეკონომისტთა, პოლიტიკოსთა განმარტებით, მოდერნიზაციის პროექტის ინიციატორებმა უცოდინარობითა თუ შეუგნებლად, დაუშვეს უდიდესი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომა, როდესაც სამხრეთი საქართველო, გუბერნიის ცენტრალური ქალაქი ახალციხე, მსხვილი ქალაქები ახალქალაქი, ვალე და ა. შ. ჩამოაშორეს საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალს. დღეს თბილისიდან სამცხე-ჯავახეთში მატარებელი ბორჯომს იქით აღარ მიდის. ადგილობრივების განმარტებით, შევარდნაძის დროს თბილისი-ვალესა და პირიქით მიმავალ შემადგენლობებს დიდი რაოდენობით მოსახლეობის გადაყვანის გარდა, გადაჰქონდა ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი და ა. შ. „ნაცების“ გაუაზრებელი ნაბიჯის შემდეგ რეგიონიდან მათი გამოტანა გაჭირდა. ავტობუსით, მით უმეტეს კალათებითა და ყუთებით, მათი გადატანა ძვირია. ამის გამო მოიმატა ჯავახელთა ნაშრომის თვითღირებულებამაც, რაც უმალ დაეტყო საქართველოს ცენტრალურ რაიონებსა და დედაქალაქს.

უაზრო ხელისუფლებამ მთელი აზრი მოგების მომტან სვლაგეზზე — თბილისი-ბათუმი და პირიქით „ჩააქსოვა“. მან ამ მიმართულებით მოძრავი შემადგენლობის „მოდერნიზება“, ჩქაროსნულ მატარებლად გადაქცევა მოახერხა.

საქართველოს რკინიგზის ასოციაციაში აცხადებენ, რომ წინა ხელისუფლების მიერ შეძენილი ე. წ. ჩქაროსნული მატარებლები უმეტესწილად გაჩერებულია (ტექნიკური გაუმართაობის გამო), ან მოძრაობენ არაავტონომიურად (დამატებითი სალოკომოტივო წევით), რაც ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ასოციაციაში აცხადებენ, რომ ამ მატარებლების ჩქაროსნულობა იმით გამოიხატება, რომ სამოძრაო მონაკვეთზე ისინი მცირე ხნით აჩერებენ დიდ ქალაქებში, თორემ, ისე მათი სიჩქარე არაფრით აღემატება ჩვეულებრივისას. სპეციალისტები გვიხსნიან, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ჩქარი მატარებლების სიჩქარე 80-140 კმ/სთ-ია. ჩქაროსნულისა 140-200, ხოლო ზეჩქაროსნულის — 200 კმ/სთ-ს ზევით.

„საქართველოს რკინიგზამ“ ობლიგაციებით „გაჩალიჩებული“ ვალების გარდა, სხვა ვალებიც „წამოიკიდა“. კერძოდ, 2007 წელს მას აზერბაიჯანმა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის 200 მლნ-ის სესხი გამოუყო. იმავე მიზნებისათვის ბაქომ 2010 წელს ქართულ მხარეს 100 მლნ ასესხა, ხოლო 2011 წელს დამატებითი სესხი — 575 მილიონი მოგვცა.

მილიარდიანი ვალების მიუხედავად, „საქართველოს რკინიგზის“ შესახებ „რკინიგზელთა ასოციაციაში“ ამბობენ, რომ ძველმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობად დატოვა საგანგაშო მდგომარეობაში მყოფი რკინიგზა: დაბალი ტვირთბრუნვა, დაბალი სიჩქარეები, გაუმართავი ტექნიკა და ტექნიკური მუშახელის უმძიმესი სამუშაო პირობები. კითხვაზე, თუ შემოვლითი რკინიგზა შედეგის მომცემი არ იყო, რატომ გაიყვანესო, მოქმედი და ყოფილი რკინიგზელები ერთხმად გვიპასუხებენ, რომ ყოფილებს სურდათ ძველი სვლაგზის გასწვრივ რკინიგზის მიმდებარე (მათ კუთვნილებაში არსებული) ტერიტორიების გაყიდვა-გასხვისება. იგივეს უპირებდნენ სადგურებსა და მათ ინფრასტრუქტურას.

რკინიგზელები იმასაც ამტკიცებენ, რომ რკინიგზის დეგრადაცია, არარენტაბელურად გადაქცევა შეგნებულად და მიზანმიმართულად მიმდინარეობდა, რათა ორგანიზაცია გაკოტრებამდე მისულიყო და შემდგომ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების საკეთილდღეოდ გაყიდულიყო. ამის მცდელობები იყო, მაგრამ ჯერ საზოგადოების არნახულმა პროტესტმა შეაჩერა ისინი, მერე კი 1 ოქტომბრის არჩევნებმა, გვიხსნიან ამჟამინდელი და ყოფილი რკინიგზელები.

ექსპერტ-ეკონომისტების განმარტებით, ამჟამინდელი შემოსავლებით „საქართველოს რკინიგზა“ მილიარდიან ვალს ვერ დაფარავს. რჩება ორი ვარიანტი: მას ან სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, ან გაყიდოს. ექსპერტთა მოსაზრებით, მეორე ვარიანტი დღევანდელი მთავრობისთვის მიუღებელია, რადგანაც ხელისუფლება თვლის, რომ რკინიგზა სტრატეგიული დანიშნულებისაა და ქვეყნის საკუთრებაში უნდა დარჩეს.

ჩვენის მხრივ კი დავამატებთ, რომ ბატონი ეზუგბაია კი „აორთქლდა“, მაგრამ ამხელა მნიშვნელობის ობიექტს სხვა არავინ ჰყავდა პასუხის მომკითხველი? ჯერი, ალბათ, სამართალდამცავებზეა.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გვწერენ



# ვიხსნათ ქართული მიწა უცხოელთა ხელყოფისაგან

**კომპეტენტური ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში სოფლის სავარგულები კაცობრიობის უმთავრეს რესურსად იქცევა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მსოფლიოში რესურსების უკმარისობასთან გვაქვს საქმე. მაინც, როგორ არის ამჟამად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ჩვენი დამოკიდებულება? ცნობილია, რომ ამჟამად მიწის პრივატიზაციის პროცესი შეჩერებულია, რადგანაც უნდა შეიქმნას ერთიანი მიწის კოდექსი, რომელიც დაარეგულირებს და დახვეწს დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ცალკეულ კომპონენტებს. ეს თითქოს კარგია, პოზიტიური ნაბიჯია, მაგრამ ამასობაში, სამწუხაროდ, საქმე გვაქვს ქართული მიწების გასხვისებასთან. იმ ფაქტმა, რომ საქართველოს მიწების ყიდვა თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ მსურველს, იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს მიწებს ბურების შემდეგ თვალი დაადგეს ინდოელებმა. ისინი მიწებს იჯარით იღებენ 99-წლიანი ვადით, თანაც ძალიან დაბალ ფასად.**

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თურმე მთელ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარით გასხვისებისთვის ასეთი ხანგრძლივი ვადა არსად არ არსებობს და გასხვისების ვადა არსად არ აღემატება 49 წელს. ფაქტიურად, ეს ქართული მიწების სამუდამოდ გაჩუქებას ჰგავს. ისიც ცნობილი გახდა ჩვენთვის, რომ ასობით ინდოელი ფერმერი ახლა რიგში დგას, რათა საქართველოში ჩამოსვლისთვის შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს. ქართული მიწების მსურველთა რიცხვი სულ უფრო იზრდება და ინდოეთის მთავარ ქალაქებში აგენტები საქართველოს მიწებისა და საქართველოში ბიზნესის წარმოების რეკლამირებას ეწევიან.

ინდოელ ფერმერთა ჩამოსახლება ჩვენთან ძირითადად სიღნაღის რაიონში ხდება და უკვე საკმაოდ დიდი ფართობიც — 3500 ჰექტარზე მეტი მიწა აქვთ შეძენილი. კიდევ გეგმავენ 5 ათასი ჰექტარის შეძენას. ამჟამად იქ უკვე 550 ოჯახია და აპირებენ კიდევ 5 ათასი ინდოელის ჩამოსახლებას.

ექსპერტთა შეფასებით, იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლო წლებში ინვესტორთა ინტერესებზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე ქვეყნის რეალურ განვითარებაზე, საქართველოში სრული უკონტროლობის ვითარება შეიქმნა და მიწები იყიდება ყველაზე, თანაც ძალიან ხელსაყრელ ფასებში. უძრავი ქონების ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მიწების მსურველი უცხოელების რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს, ინდუსებს ჩინელებიც მოჰყვებიან, რომლებსაც წინა ხელისუფლება საქართველოში ბიზნესის დასაწყებად აქტიურად ეპატიჟებოდა.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გვამცნო, რომ „ქართველთმოძულე სააკაშვილი 127 ათას ჩინელს თბილისის ზღაზე და მცხეთა-მთიანეთში გრანდიოზულ ქალაქს უშენებსო“. თურმე გრანდიოზული იქნება საქართველოს ჩინური ქალაქები და სოფლები. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა ჩინელების საქართველოში ჩამოსახლების საკითხზე მოლაპარაკებებში 2012 წელს 3 უმსხვილესი ჩინური კომპანია მონაწილეობდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, მინისტრებმა ზურაბ ადეიშვილმა და ვერა ქობალიამ, მცხეთა-მთიანესის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი ქადაგიძემ.

ჩინურ მხარეს გადაეცა ჩინური ქალაქისა და ქალაქის მიმდებარე ჩინური სოფლების მშენებლობისთვის უზარმაზარი ტერიტორია თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე. ეს იქნება გრანდიოზული დასახლება თავისი ადმინისტრაციული შენობებით და ჩინური წარწერებით. პროექტი იმდენად მასშტაბურია, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში მივიღებთ პატარა ჩინურ ავტონომიურ რესპუბლიკას...

ამ თემას მიეძღვნა დიალოგი რამდენიმე დღის წინათ (18 თებერვალს) ტელეკომპანია „კავკასიაშიც“. როგორც ცნობილი გახდა, ჩინელები გრანდიოზული ღონისძიებებითა და გეგმებით ქუთაისის „დაპყრობასაც“ აპირებენ.

ეს უკვე მეტისმეტია!

სურსათზე ფასების ზრდამ და მოსახლეობის სასურსათო დეფიციტმა, რასაც ექსპერტები უკვე აშკარა საშიშროებად მიიჩნევენ, მიწაზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით გაზარდა. ფინანსურმა კრიზისმა ბევრი ხელისუფლება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნებისმიერი ბიზნესი შეიძლება დაინგრეს, მიწა კი არსად წავაო.

მე, როგორც რიგით ქართველს, სხვა ქვეყნებისა და მათი ხელისუფლების დასკვნები ნაკლებად მაღელვებს, მე მაწუხებს ჩემი ქვეყნის, ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ბედი, რომ ჩვენი ხალხი და სახელმწიფო მთლად უმიწოდ არ დარჩეს! ამიტომ ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა მოვთხოვოთ ჩინელებთან გაფორმებული საიდუმლო გრიფის მქონე ხელშეკრულების განსაჯაროება, რათა ყველამ გაიგოს რასთან გვაქვს საქმე და ხალხმა ხმა აღიმაღლოს დამღუპველი პროექტისა და მისი განხორციელების წინააღმდეგ. იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება, რომელმაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინების პრობლემა პრიორიტეტად დაისახა, არ დაუშვებს ჩვენი დამღუპველი პროექტების განხორციელებას.

**თამაზ დანელია,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

სახელმწიფო შესყიდვები

# ვისაც მინდა იმას ვაგებინებ, ვა!..

**90-იანი წლების მიწურულს, შემდეგაც, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელიც შემდგომ გაუქმდა, თავის გაზეთს „მესაკუთრეს“ უშვებდა, რომელშიც, უმეტესწილად, სახელმწიფოს კუთვნილი საპრივატიზაციო ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ისტამბებოდა. იმ ხანებში, როცა კომპიუტერები კერძო სტრუქტურებსა და მოსახლეობაში ნაკლებად იყო და დღე-ღამის განმავლობაში არც მათ ასამუშავებლად საჭირო ელექტროენერგია მიეწოდებოდა სამოქალაქო სექტორს, ელექტრონული ვაჭრობების გამართვას, როგორც ეს ამჟამად ხდება, აზრი არ ჰქონდა. ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების საგაზეთო ფორმაც სწორედ ამიტომ იყო შერჩეული, თუმცა კი ამას, ფაქტობრივად, მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია ჰქონდა, რასაც ასრულებდა კიდეც.**

გაზეთ „მესაკუთრეს“ ძირითადად კამუფლაჟური, შემნიღბავი როლი კი ის ჰქონდათ, რომ, ოფიციალურად დადგენილი წესის თანახმად, ცნობა სახელმწიფო ობიექტის გასხვისების თაობაზე აუცილებლად საჯაროდ უნდა გამოცხადებულიყო, რათა ვაჭრობაში ნებისმიერ მსურველ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონოდა, პრაქტიკაში კი ყველაფერი ერთობ სხვაგვარად იყო. ასეთი ტენდერები, ჩვეულებრივ, უკვე მას შემდგომ ცხადდებოდა, რაც მისი მომავალი მეპატრონის ვინაობა „შინაურულად“ უკვე გარკვეული იყო, „თამაშის წესების“ მხოლოდ მოჩვენებითად დაცვა იყო საჭირო, რაც კონკრეტული ობიექტის გასხვისებას ეხებოდა. ამას ასრულებდნენ კიდეც, სათანადო განცხადება „მესაკუთრეში“ აუქციონის გამართვის წინა დღეს, ან რამდენიმე დღით ადრე იბეჭდებოდა, ოღონდ დაინტერესებული პირი გაზეთის მთელ, საკმაოდ მცირერიცხოვან ტირაჟს სტამბაშივე ყიდულობდა, საბუთებში კი, საჭიროებისდა მიხედვით, ერთი-ორი ეგზემპლარი იკვრებოდა, დანარჩენი, უბრალოდ, ნადგურდებოდა. ეს იყო და ეს მთელი „კომბინაცია“, რომელმაც მავანსაც დიდძალი ქონება შეაძენინა და მოხელეებიც გვარიანად „დაასუქა“, სახელმწიფოს კი მხოლოდ სიმბოლური თანხები ერგო.

ფაქტობრივად იგივენაირად, თუმცა კი რამდენადმე სახეშეცვლილად იქცეოდნენ წინა ხელისუფლების ჩინოსნები, რომელთაც ისეთი ელექტრონული აუქციონების პრაქტიკა დაამკვიდრეს, რომლის თავისა და ბოლოს გაგება საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელია. მეტიც: ხშირად (თუ არა ყოველთვის) სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ტენდერებს ხელისუფლებასთან ახლოს მდგომი კომპანიები, საწარმოები, მედიასაშუალებები და ა.შ. იგებდნენ. მეთოდები ამ შემთხვევაში სხვადასხვა იყო, რაც არც არის გასაკვირი, მაგრამ შედეგს მუდამ „შეკრული“ პირებისთვის — ტენდერის გამომცხადებლისთვისაც და უკვე მოლაპარაკებული საქონლის თუ მომსახურების მიმწოდებლისთვისაც — ისეთს იღებდნენ, , როგორიც აწყობდათ. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული მეთოდია ერთ ლოტად ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ მოთხოვნათა წამოყენება, რომლებსაც ტენდერში გამარჯვებული იურიდიული თუ ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს. ხრიკის არსი კი ისაა, რომ თუკი კონკურსში კონკრეტული მონაწილე ამ მოთხოვნის თუ მოთხოვნების შესასრულებლად წინდაწინვე არ მოემზადა , ტენდერის გამოცხადების შემდეგ ის წამოყენებული პირობების შესასრულებლად მომზადებას ვერ ასწრებს, რადგან წაყენებულიდან თუნდაც ერთ პირობას თუ ვერ შეასრულებს, ამის გამო არაკონკურენტუნარიანი ხდება და ბრძოლას ეთიშება. სინამდვილეში ყველაფერი წინასწარ ცნობილი გამარჯვებულის შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა მორგებული, რაც აშკარად კორუფციულ გარიგებას მიანიშნებს.

„საქმეში“ კარგად გაწაფულ ჩინოსნებს (დიდ საქმეებს კი, მოგეხსენებათ, ძველ სიბრძნეს თუ ვენდობით, უმეტესად პატარა ხალხი აკეთებს) ამის გარდა თადარიგში კიდევ რამდენიმე ფანდი აქვთ, რომელთა მეშვეობით სასურველი „კლიენტი“ ტენდერში იმარჯვებს. მაგალითად, ტენდერის გამოცხადება პოტენციურად მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის მაქსიმალურად მოუხერხებელ დროს, მაგალითად, უქმეებამდე ერთი დღით ადრე, სამუშაო დღის მიწურულს ცხადდება, როცა შემდეგი მეორე კვირის დაწყებისთანავე უნდა იყოს ცნობილი. ბუნებრივია, აქაც „საქმეშია“ ანგარებიანი გარიგება, კერძო ინტერესი.

სახელმწიფო შესყიდვების — საქონლის ან მომსახურების წინასწარვე ცნობილი, სასურველი იურიდიული თუ ფიზიკური პირებისთვის უფლების გადაცემის ერთ-ერთი მექანიზმი ასევე ელექტრონულ კონკურსამდე რამდენიმე საათით ადრე ფირმების შექმნაა, რომლებსაც წაყენებული პირობების შესასრულებლად არც ფინანსური რეზერვები, არც ტექნიკური ბაზა და ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობის რაიმე გამოცდილება აქვს, როგორც ეს, მაგალითად, „თბილისის ყვითელი მიკროავტობუსის“ კომპანიის შემთხვევაში მოხდა, როცა ტენდერში ერთდროულად ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელთაგან თითოეულს 100-100 ლარი სასტარტო კაპიტალი ჰქონდა... ხოლო თუ რომელიმე „არასასურველი“ იურიდიული თუ ფიზიკური პირი გამოცხადებულ ტენდერის პირობებს დაარღვევს, შავ სიაში ხვდება.

წლის დამდეგიდან მდგომარეობა ტენდერთან დაკავშირებით თითქოს რამდენადმე გამოსწორდა, ახლა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებაზე კონკურსებში არა მარტო „ბლატიანი“, არამედ საშუალო და წვრილი კომპანიებიც, ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, ინდმეწარმეებიც კი მონაწილეობენ, რაც უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ პროცესი აუცილებლად უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს, რასაც ხელი ახალმა ანტიმონოპოლიურმა სამართალმა უნდა შეუწყოს.

**ოთარ ტურაზელიძე**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ივანიშვილსა და სააკაშვილს ამერიკელი „პიარშჩიკები“ განსჯიან

## „ქართული ოცნება“ ქირაობს ამერიკელ ლობისტებს, რათა ისინი დაეხმარონ იმიჯის ჩამოყალიბებაში საზღვარგარეთ

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლამ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გადაინაცვლა. „ქართული ოცნების“ მთავრობამ განაცხადა, რომ განაახლებს თანამშრომლობას უცხოეთის ლობისტურ კომპანიებთან, რომელიც მან შარშან ოქტომბერში პარლამენტის არჩევნებში თავისი გამარჯვების შემდეგ შეაჩერა. ძლიერი ამერიკელი „პიარშჩიკების“ მხარდაჭერის გარეშე „მეოცნებეებს“ არ აღმოაჩნდათ უნარი ჩამოეყალიბებინათ თავიანთი დადებითი იმიჯი უცხოეთში.**

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, „საჭიროა სრულფასოვნად და დროულად ვაცნობოთ საერთაშორისო გაერთიანებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, მათ შორის ამჟამინდელი და ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის შესახებაც“.

მისი სიტყვებით, „საერთაშორისო არენა უკვე აღარ იქნება ექსკლუზიური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ — და მთავრობის წევრებიც, დეპუტატებიც (კოალიციიდან „ქართული ოცნება“) გაივლიან ამ ფრონტს“.

დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანა მიროტაძემ ჩვენ გაზეთს აცნობა, რომ გადაწყვეტილება გააქტიურების შესახებ „გამოწვეულია აუცილებლობით“.

— ეს კეთდება არა იმისთვის, რომ კონკრეტულად ვებრძოლოთ სააკაშვილს, — ამბობს იგი. — არამედ იმისთვის, რომ ვაჩვენოთ რეალური სურათი, თუ როგორ მიიწევს წინ საქართველო ევროატლანტიკური გაერთიანებისკენ, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისკენ.

მიროტაძის სიტყვებით, დასავლეთში ოპონენტების მიერ წარმოჩენილი ინფორმაცია „ამახინჯებს სინამდვილეს“.

„ოცნების“ გადაწყვეტილება გახდა პასუხი მიხეილ სააკაშვილის გაზრდილ აქტიურობაზე „პიარშჩიკებთან“ მუშაობაში, რომლის შედეგიც თავის თავზე შემადგენლობით უკვე მიმართა სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის წერილით, რომელშიც სთავაზობენ მას მოახდინოს გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სააკაშვილის




უკვე იგრძნო საქართველოს პრემიერმა: დასავლელმა პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს ქვეყნის ახალი ხელისუფლება ოპოზიციის პოლიტიკური დევნის გამო. ასეთი კრიტიკის უკანასკნელი შემთხვევები განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. ევროპის სახალხო პარტიამ — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წამყვანმა პარტიამ — განაცხადა, რომ „ოპოზიციის შეზღუდვამ“ შეიძლება კარი დაუხუროს საქართველოს ევროსტრუქტურებში. ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა ოთხი კაცის ოპონენტების წინააღმდეგ. ვაშინგტონის დამოკიდებულება ტრადიციულად მნიშვნელოვანია საქართველოს ნებისმიერი ხელმძღვანელობისთვის.

თავისი კამპანიის კომპონენტებს „ქართული ოცნება“ არ განმარტავს. ასევე უცნობია, თუ ვინ განახორციელებს მას. ჩვენი მონაცემებით კოალიციის წყაროებიდან, „ოცნება“ აპირებს, მოიწვიოს პიარაქციისთვის ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები, რათა მათ გაფანტონ ეჭვები სააკაშვილის თანამებრძოლებზე განხორციელებული პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი გახდება ცნობილი სამართალდამცველი თომას ჰამერბერგი, რომელიც მიიწვიეს იმისთვის, რომ თვალყური ადევნოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების წინააღმდეგ წამოჭრილი პრეტენზიების სამართლიანობას. ამას გარდა, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატები საგამოძიებო ორგანოების მიერ მუდმივად იქნებიან ჩაყენებული საქმის კურსში სისხლის საქმეებთან დაკავშირებით.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, გასული წლის ბოლოს სააკაშვილმა თავისი ინტერესების ლობირებისთვის ფირმა „პრაიმ პოლის გრუპს“ 860 ათასი ამერიკული დოლარი გადაუხადა. კონტრაქტი თითქოს დაიდო საქართველოს ხელმძღვანელის ადმინისტრაციის მიერ. ადმინისტრაციაში ამ ინფორმაციას კომენტარი არ გაუკეთეს. თავად ამ ფირმაში ჩვენს წერილობით თხოვნაზე, დაედასტურებინათ ან უარეყოთ სააკაშვილთან შეთანხმების არსებობის ფაქტი, ასევე არ გვიპასუხეს. სააკაშვილის გარემოცვაში არაოფიციალურად გვითხრეს, რომ „ახალმა ხელისუფლებამ შეამცირა პრეზიდენტის ბიუჯეტი, ლობისტებისთვის კი სახსრები არ გაგვაჩნია“.

შარშან საქართველოს ბიუჯეტიდან ვაშინგტონელი ლობისტების რამდენიმე კომპანიამ სააკაშვილისა და მისი პარტიის მხარდასაჭერად 1,8 მილიონი დოლარი მიიღო. მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო მომსახურებისთვის იხდიდა თავისი სახსრებიდან. მისთვის მუშაობდნენ ისეთი კომპანიების პოლიტტექნოლოგები, როგორებიცაა „ნეიშენლ სტრადეჯის“, „პეტონ ბოგს“. პირველს ოპოზიციის მაშინდელი ლიდერი ყოველთვიურად 2012 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე უხდიდა 105 ათას ამერიკულ დოლარს, მეორეს — 160 ათას დოლარს.

ИЗВЕСТИЯ

# საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი „დედოვშჩინაზე“ გამოიჭირეს

## დაიწყო პრეზიდენტ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლის სასამართლო

**20 თებერვალს თბილისში საქალაქო სასამართლოში გაიმართა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმესთან დაკავშირებული პირველი სხდომა. ახალაია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლად ითვლება. ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები დარწმუნებული არიან: ბატონი ახალაია, რომელსაც ელოდება პატიმრობა 23 წლით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და სამხედრო მოსამსახურეების წამებისთვის, გახდა შურისძიების მსხვერპლი ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მხრიდან.**

სხდომას ბაჩანას საქმესთან დაკავშირებით თან ახლდა მის მომხრეთა ხმაურიანი აქცია, რომლებიც ჩამოვიდნენ თბილისში ზუგდიდიდან — საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მშობლიური ქალაქიდან. დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ პლაკატები „ბაჩო — პოლიტპატიმარია“, „სისხლის სამართლის საქმე მითებზეა აგებული“ და „პროკურორის საპნის ოპერა“. ბატონი ახალაიას გამოჩენას მისი თანამემამულენი შეხვდნენ წამოძახილით „გაუძელი, ბაჩო!“.

პროცესის დაწყებამდე განსასჯელის ადვოკატმა გოგიტა გაბაიძემ გვაცნობა, რომ აპირებს, მოითხოვოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლებას გირაოთი. „ბაჩო ახალაია არ აპირებს საქართველოდან გაქცევას და არ მოახდენს ზემოქმედებას მოწმეებზე. მაშ, რა აზრი აქვს მის ციხეში ყოფნას სასამართლომდე?“, — განმარტა ჩვენთან საუბარში ბაჩანა ახალაიას ახლო მეგობარმა იურისტმა გიორგი ონიანმა. სხვათა შორის, დაცვამ ვერ მოასწრო დაეყენებინა საკითხი აღმკვეთი ზომების შეცვლის შესახებ, ვინაიდან პროკურორის მრავალსაათიანი გამოსვლის შემდეგ მოსამართლემ პროცესი 28 თებერვლამდე გადადო. ბატონი ახალაიას სასამართლოსკენ მიპყრობილია საყოველთაო ყურადღება, ვინაიდან ის პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვაში ნიშნური ფიგურაა. ის შარშან 7 ნოემბერს დააპატიმრეს სამხედრო მოსამსახურეების ცემის ბრალდებით. შემდეგ ექსმინისტრის წინააღმდეგ წამოაყენეს ახალი ბრალდებები. პროკურატურა ამტკიცებს, რომ ბაჩანა ახალაია აიძულებდა 17 ჯარისკაცს, რომლებმაც უარი განაცხადეს, შეესრულებინათ მისი ბრძანება, შიშვლებს ერბინათ ყინვაში, შემდეგ კი ისინი ჩაკეტა ცივ აბანოში. განსასჯელს, რომელიც გადის მუხლებით „თავისუფლების უკანონო წართმევა“, „სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბება“ და „წამება“, ემუქრება 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.



სხვათა შორის, პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დარწმუნებული არიან: ბატონი ახალაია გახდა ახალი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის შურისძიების მსხვერპლი პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ექსმინისტრის სასამართლო პროცესის დაწყებამდე, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლად ითვლება, ის გადაიყვანეს № 7 სპეციალურ იზოლატორში, სადაც სასჯელს იხდიან ქართველი კანონიერი ქურდები. „იმისთვის, რომ „გამოტეხონ“ ახალაია, მათ გამოიყენეს ყველა შესაძლო მეთოდი, მათ შორის ასეთი მხეცურიც“, — ამბობს პოლიტოლოგი მიხეილ თავხელიძე.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**„ჩვენ დავხოცეთ 4700 კაცი, მაგრამ ეს ომია“. ამერიკელმა სენატორმა გაამჟღავნა უპილოტო თვითმფრინავების მსხვერპლთა რიცხვი**

რესპუბლიკელმა სენატორმა ლინდსი გრეჰმა გაამართლა უპილოტო თვითმფრინავების გამოყენება პაკისტანში, იემენსა და სხვა ქვეყნებში. მას არ გაუმჟღავნებია დახოცილთა რიცხვის შესახებ წყარო, მაგრამ თუ გაირკვევა, რომ ეს არის ოფიციალური ციფრები, მაშინ ეს შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება.

* * *

**ბრაზილიაში მედვედევი პრეზიდენტს შეხვდა უფეხსაცმელოდ და უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო კარნავალში**



ბრაზილია დაინტერესებულია, შეიძინოს რუსეთისგან საზენიტო რაკეტები და საზენიტო სარაკეტო-საქვემეხო კომპლექსები. მოსკოვს ასევე სურს, მონაწილეობა მიიღოს აქ ატომური სადგურების მშენებლობაში. პრემიერმა დააჯილდოვა კულტურის მოღვაწეები და მას განზრახული აქვს შეხვდეს ბიზნესის წარმომადგენლებს.

* * *

**მარსმავალმა „კურიოსიტიმ“ პირველად მიიღო ნივთიერების ნიმუშები გახვრეტილი ქვის გულიდან**



სამეცნიერო ჯგუფი გაოცებული იყო იმით, რომ ბურღვის დროს მიღებული ნიმუშები არ იყო მარსისთვის ჩვეულებრივი ჟანგისფერ-წითელი ფერისა. ქვის მტვერის რუხი ფერი მიუთითებს იმაზე, რომ მას შეუძლია მოგვცეს ინფორმაცია რკინის ბედის შესახებ. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ნიმუშების დახმარებით გაიგებენ მარსზე მილიარდი წლის წინათ არსებული პირობების შესახებ.

* * *

**იაპონიაში სიკვდილით დასაჯეს სამი პატიმარი**

ეს პატიმართა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების პირველი შემთხვევაა შარშან სექტემბრიდან და პირველი შემთხვევა სინძო აბეს პრემიერობის დროს, რომელიც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა დეკემბერში, აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ უპასუხისმგებლობა

# სააკაშვილის სიტუტუცეს საქართველოს იმიჯი ეწირება

**რევანშიზმის გრძნობით შეპყრობილი სააკაშვილი აკრიტიკებს რა მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას (უფრო სწორად ლანძღავს), ვერ ამჩნევს, რომ ან შეგნებულად სჩადის იმას, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის ავტორიტეტის შერყევით პირველ რიგში საქართველო ზარალდება.**

ცოტა ხნის წინათ უფუნქციოდ დარჩენილმა პრეზიდენტმა ვაი-უშველებელი ატეხა, ახალი მთავრობა ჩვენს (იგულისხმება „ნაცებს“) პირმშოს, საბრძოლო მანქანების „დიდგორისა“ და „ლაზიკას“ მწარმოებელი ქარხნის დახურვას აპირებსო. რა არ უწოდა ამის ორგანიზატორებს. ბოლო დასკვნა თავადვე გააკეთა — ქარხანას დაკეტავენ და სულ მალე ოკუპანტი რუსები ტანკებს შემოარახრახებენო. მანამდე კი სააკაშვილმა ხმამაღლა განაცხადა, ეს ტექნიკა არა მხოლოდ ქვეყნის თავდაცვისათვის იქნებოდა საჭირო, არამედ მას მყიდველიც გამოუჩნდა აზერბაიჯანისა და სამხრეთ კორეის სახითო.

პრეზიდენტს უმალ მოჰყვა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თვალსაჩინოებაზე დამყარებული პასუხი. მოქმედი ქარხნის პერსონალთან ერთად საბრძოლო მანქანებზე და უცხოელ პარტნიორებთან გაყიდვების კონტრაქტების უწყვეტობაზე საუბრობდა.

როგორც სჩვევია, პრეზიდენტმა უცბად შეცვალა რიტორიკა და მორიგ შეხვედრაზე განაცხადა, კიდევ კარგი, ქარხანა ისევ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია, თურმე მთავრობა მის ეკონომიკის სამინისტროსათვის გადაცემას აპირებდაო. მისივე სიტყვებით, ეკონომიკის სამინისტროს — ამ „ყაჩაღებს“ ძლივს წავართვით ქარხანა და თავდაცვას გადავეცით, მათთვის უკან დაბრუნება ნამდვილად აღარ ივარგებდაო.

თავისსავე ტყუილებში აბნეულმა სააკაშვილმა ნებსით თუ უნებლიედ მისივე ფავორიტი „მინისტერშა“ მეპურე ვერა „მინისტერვა“ ყაჩაღების უსტაბაშად გამოიყვანა.

ვიდრე ნომინალური ქვეყნის პირველი პირი თავისი ნაბოდვარის გამამართლებელ სიტყვებს ეძებდა, აზერბაიჯანულმა საინფორმაციო სააგენტო „აპა“-მ ადგილობრივი თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბაქო არ აპირებს ქართული ჯავშანტექნიკის „დიდგორისა“ და „ლაზიკის“ შეძენას, რადგან მსგავსი ტიპის სამხედრო ტექნიკა აზერბაიჯანშიც იწარმოება, სააგენტომ ისიც აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თბილისში ვიზიტის დროს ქართველმა კოლეგებმა მათ დაათვალიერებინეს საკუთარი წარმოების საბრძოლო ტექნიკა. აზარბაიჯანელები წარდგენილის მხოლოდ ტექნიკური მონაცემებით დაინტერესდნენ, აცხადებს „აპა“ და იქვე განმარტავს, რომ ქართველები მათთან ჩასული თითქმის ყველა ქვეყნის დელეგაციას ათვალიერებინებდნენ საკუთარ ნაწარმს. გამონაკლისი არც აზერბაიჯანული მხარე იყოო.

### მოსაზრებები

**თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ საქართველო ახლო წარსულში არ მუშაობდა საგარეო ბაზარზე და მხოლოდ საშინაო ბაზრით შემოიფარგლებოდა. ახლა იმპორტზეც ვმუშაობთ, ჩვენი პროდუქციით დაინტერესდნენ აზერბაიჯანი და სამხრეთ კორეაო.**

თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ვაკო ავალიანი აცხადებს, რომ სამხედრო ტექნიკის გამოცდა ბოლომდე დამთავრებული არ არის. საქმეს ჯერ კიდევ ადევს გრიფი „საიდუმლო“, რის გამოც ინფორმაციის გაცემა აკრძალულია.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე განმარტავს, რომ სამხედრო ტექნიკის შეძენისას 2 ფაქტორია გასათვალისწინებელი — რამდენად ადვილია მწარმოებელთან კონტაქტი და რამდენად ადვილია ყიდვა. აზერბაიჯანთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის, რომ მისთვის საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა დასავლური სამხედრო ტექნიკის შეძენა. ამის გამო



არ არის გამორიცხული ქართული ტექნიკით დაინტერესება. მათთვის ფასიც მისაღები უნდა იყოს. ჩვენს ტექნიკას კარგი მახასიათებლები და შესაძლებლობები აქვს. ადვილი ასაწყობია, მორგებულია ქართულ რელიეფზე და ა. შ. აზერბაიჯანსაც მთიანი რელიეფი აქვს და ამ თვალსაზრისითაც „ლაზიკაცა“ და „დიდგორიც“ შეიძლება აზერბაიჯანული მხარისათვის საინტერესო გამოდგეს, — მიაჩნია თავდგირიძეს.

ის იგივე „აპა“-ს განცხადებას, თითქოს ბაქო ჩვენი ტექნიკის შეძენას არ აპირებდეს, მყარ პოზიციად არ თვლის, რადგანაც განცხადებას საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს და არა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა. აზერბაიჯანი ახალბედაა სამხედრო ტექნიკის წარმოების საქმეში. ალბათ შეაჯერებენ, შეაფასებენ საკუთარი ტექნიკის შესაძლებლობებთან, წარმოების ღირებულებების გათვალისწინებით გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ყიდვა-არყიდვის საკითხი მაშინ გადაწყდება — აცხადებს სამხედრო ექსპერტი.

### გაცხადებულის მეორე მხარე

**სააკაშვილის განცხადებას ქართული საბრძოლო ტექნიკის აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კორეის მიერ შესაძლო შესყიდვების თაობაზე, უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ოთარ მენაბდიშვილი უპასუხისმგებლოს, რევანშიზმითა და შესაძლო შორსმიმავალი ფესვებით დაბრმავებულს უწოდებს.**

მისი განმარტებით, უპასუხისმგებლოა, როდესაც ქვეყნის პირველი პირი მის ქვეყანაში წარმოებული საბრძოლო ტექნიკის გაყიდვის შესახებ განცხადებას აკეთებს და პოტენციურ მყიდველებსაც ასახელებს. ყველა მეტ-ნაკლებად დალაგებული პოლიტიკოსი ამ საკითხს გვერდს უვლის. ქვეყნები მილიარდებს ხარჯავენ სპეცსამსახურებისათვის, რათა იარაღის მოძრაობაზე ინფორმაცია მოიპოვონ. ეს კი გამოდის და ღიად აცხადებს. — ამბობს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი.

იგი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს სააკაშვილის მიერ დასახელებულ ქვეყნებს — აზერბაიჯანი და სამხრეთ კორეა. ეს ის ქვეყნებია, რომელთაც დაძაბული, საომარი მდგომარეობა აქვთ მეზობლებთან (პირველს — სომხეთთან, მეორეს — სამხრეთ კორეასთან). ამ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ძალისხმევას არ იშურებენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისათვის, შეიარაღებულ ძალთა დაშორიშორებაზე, იარაღის მიწოდებაზე სხვადასხვა შეზღუდვებზე, ამ მიზნით ახალი ინიციატივების წამოყენებასა და ა. შ., საქართველოს პირველი პირი გამოდის და ამბობს, რომ მას მეზობლებთან კონფრონტაციაში მყოფი სახელმწიფოები სთავაზობენ იარაღის მათთვის მიყიდვას და ისიც თანახმაა ამაზე — გაკვირვებას ვერ მალავს მენაბდიშვილი. ხომ შესაძლებელია ამას სომხეთისა და ჩრდილოეთ კორეისაგან საპირისპირო ნაბიჯები მოჰყვეს? ვინ იქნება დამნაშავე — სააკაშვილი თუ საქართველო? სააკაშვილი ოქტომბერში დაიხურავს ქუდს და წავა მოუსავლეთში, შესაძლო გართულებებზე კი მთლიანად საქართველო დაისჯება.

ჩვენს რესპონდენტს ვერ გაუგია, თუ როგორ შეიძლება რევანშიზმმა, შურმა ქვეყნის პირველ პირს, პრეზიდენტს, უმაღლეს მთავარსარდალს ისე დაუბრმავოს თვალები, რომ ოღონდ საერთაშორისო საზოგადოების თვალში შენს ადგილობრივ ოპონენტს ლაფი დაასხა, ჩირქი მოსცხო, ვერ დაინახო, რა შეიძლება მოჰყვეს შენს სიტყვებს.

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს გაუმართლებლად მიაჩნია ალასანიას კონტრპასუხი. იგი თვლის, რომ მინისტრი ემოციებს აჰყვა და საქართველოს მოსახლეობის თვალში თავის გამართლების მცდელობაში სააკაშვილს აჰყვა — ამტკიცებდა რა ქარხნის მუშა მდგომარეობაში ყოფნას და, რაც მთავარია, არსებული მოლაპარაკებების ძალაში დარჩენას საბრძოლო ტექნიკის გაყიდვის თაობაზე...

ჩვენი ინტერვიუერი გამართლებულს და გათვლილს უწოდებს ქართველების შინა აშლილობაზე მოსალოდნელ აჟიოტაჟზე აზერბაიჯანის მხარის რეაქციას. ჯერ ერთი ბაქომ იარაღის არ შესყიდვის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელებინა საინფორმაციო სააგენტოს და არა რომელიმე სახელმწიფო უწყებას, და მეორეც, გაცხადდა, რომ აზერბაიჯანელები მხოლოდ დაინტერესდნენ საქართველოში წარმოებული საბრძოლო ჯავშანტრანსპორტიორების ტექნიკური მონაცემებითა და შესაძლებლობებით. მის ყიდვას არ აპირებენ, რადგანაც თავადაც აწარმოებენ მსგავსს.

გამოდის, რომ სააკაშვილის მორიგი რევანშისტული გამოხტომა საქართველოსათვის სარფიანი კონტრაქტის ჩავარდნით უნდა დამთავრდეს.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ „გაუცხოებული“ ქართველები

# ვარშავიდან თბილისისკენ გავლებულო კვალო...

**სადა ჰყავს საქართველოს „ცრემლის ზღვაში დასახჩრობი ქალი“ (ოთარ შალამბერიძე), ანდა ვინ მისცა საქართველოს „შვილი დასაკარგავი“ (ჯანსუღ ჩარკვიანი)... ოღონდ ისე წაგვივიდა საქმე, რომ კიდევაც გვეხრჩობიან და კიდევაც გვეკარგებიან...**

დავით ყოლბაიამ 1990-ში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ახლა ვარშავის უნივერსიტეტის ორენტალისტიკის ფაკულტეტზე მოღვაწე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ და მარტო ისტორიკოსი კი არა, ქართველოლოგიც. მან ჯერ კიდევ 1991 წელს დააარსა ვარშავაში ქართველოლოგიური ჟურნალი „პრო გეორგია“, რომელიც წლების სიგრძეზე პოლონურ ენაზე ისტამბებოდა, 2002-დან კი, იქაური უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ეგიდით გამომავალი, დამატებით გერმანულ და ინგლისურ ენებზე ბეჭდავს სტატიებს.

საერთოდ, ვარშავის უნივერსიტეტში ქართული ისტორიისა და კულტურის შესწავლას უვე აქვს მდიდარი ტრადიცია. წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით მოისმინება ლექციები საქართველოს ისტორიიდან, კავკასიის ისტორიიდან, ისწავლება ქართული ენა. იმავე 2002 წლიდან იმართება წმინდა მღვდელმოწამის გრიგოლ ფერაძის სახელობის ყოველწლიური კონფერენცია მსოფლიოს წამყვან მკვლევართა მონაწილეობით. ქართველოლოგიური სემინარის წიაღ მოქმედებს გრიგოლ ფერაძის მემკვიდრეობის შესწავლის მეცნიერული ჯგუფი, რომელიც მის სამეცნიერო შრომებს ამზადებს და აქვეყნებს.

უნდა ითქვას, რომ აქამდე ფართო ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი დიდებული პიროვნების, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მოძღვარის, მკვლევარის, პუბლიცისტის, უნივერსიტეტის პროფესორის გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. გაცნობის საპატიო მისია წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, ევროპაში ერთ-ერთი ავტორიტეტული ქართველოლოგიური ცენტრის ფუძემდებელს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს დავით ყოლბაიას. სწორედ მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი გარჯის შედეგია შარშან, ვარშავაში, ქართულ ენაზე წმინდა გრიგოლ ფერაძის თხზულებათა კრებულის პირველი წიგნის გამოცემა.

ფრიად საგულისხმო მასალის მომცველ წიგნში შესულია დავით ყოლბაიას ნარკვევი „წმინდა გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიული წერილები და სამეცნიერო ნაშრომი „ბერ-მონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია“, დამატების სახით — დოკუმენტი, შემოკლებათა განმარტებანი, პირთა საძიებელი...

გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიის მომენტები და მეცნიერული მემკვიდრეობა ერთობ საყურადღებო იქნება როგორც ქართველი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის, სასულიერო წრეებისა თუ სტუდენტებისათვის, ისე ქართველოლოგიით დაინტერესებულ საზღვარგარეთელ მკვლევართათვისაც.

ბოლო წლებში ქვეყნდებოდა გრიგოლ ფერაძის მცენიერული შრომები და ცნობებიც მისი მოღვაწეობის ირგვლივ. ხსენებული გამოცემა ერთგვარ შემაჯამებელ რგოლად წარმოდგება, რომელსაც დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტები ერთვის. თხზულებათა კრებულის მომდევნო ტომებში განზრახულია ლიტურგიის, პატროლოგიის, ლიტერატურული კვლევების, ქადაგებათა წერილების, პოეზიის გადმოცემა.

დავით ყოლბაია აქვეყნებს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ხასიათის გამოკვლევებს (ენათმეცნიერული, ლიტერათურათმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ისტორიული), შემოიკრებს პოლონეთსა და ევროპაში მოღვაწე ქართველოლოგებს, ბეჭდავს აგრეთვე ქართველ, სომეხ, ებრაელ მკვლევართა სტატიებს. იმისი ჟურნალი „პრო გეორგია“ თვალსაჩინო როლს ასრულებს ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. „გაპოლონელებული“ ქართველი რეგულარულად ბეჭდავს ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებს, გამოკვლევათა ვრცელ მიმოხილვებს, ბიბლიოგრაფიებს, ანოტაციებს. მისმა სამეცნიერო საქმიანობამ შეუწყო ხელი პოლონური ქართველოლოგიის განვითარებას, ქართული ენისა და მწერლობის, გამორჩეულად ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლას.

ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის საკითხების ობიექტურად გაშუქებისათვის დავით ყოლბაია დღესაც ჩვეული რუდუნებით აგრძელებს მუშაობას. ძველქართულიდან პოლონურად თარგმნა და წიგნად გამოუშვა „მოქცევაი ქართლისაი“ (შენიშვნა-კომენტარებით), რაც ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის სავალდებულო წყაროდ მიიჩნევა; თარგმნა „გალობანი სინანულისანი“ (ზურაბ ჭავჭავაძის დადგენილი ტექსტის მიხედვით), რასაც პოლონეთის სამეცნიერო წრეებში ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა. ასევე პოლონურად თარგმნა ქართული ჰაგიოგრაფიის (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება), საისტორიო მწერლობის (ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“, ჯუანშერის „ვახტანგ მეფის ცხოვრების“), მატიანე ქართლისაის, სხვა უძველესი სიტყვიერების ნიმუშები.

გამორჩეული ყურადღებით ეკიდება დავით ყოლბაია ქართულ-პოლონურ ისტორიულ ურთიერთობებსაც. 2008 წლის სპეციალური გამოკვლევა ეძღვნება ქართველ იუნკერთა ისტორიას პოლონეთის არმიის სამსახურში 1922-1944 წლებში. ნაშრომს დართული აქვს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ტრაგიკულად დაღუპული ლეხ კაჩინსკის წინათქმა. საგულისხმოა, რომ ქართული თემატიკა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ფიგურირებდა პოლონელ მემატიანეთა თუ ჟამთაღმწერელთა, დიპლომატთა თუ მოგზაურთა, კათოლიკე-მისიონერთა თუ მწერალთა თხზულებებში. ქართულ-პოლონურ ურთიერთობათა კვლევამ ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიურ სემინარზე სისტემატური ხასიათი შეიძინა. რასაკვირველია, წამოწყებული ქართველოლოგიური კვლევები ხელს შეუწყობს ვარშავის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ჩამოყალიბებას სასწავლო დისციპლინადაც და სამეცნიერო დარგადაც.

...აი, ასეთი შესანიშნავი „დაკარგული შვილი“ საქართველოსი მოვიძიე აკადემიის „მაცნეს“ (ისტორიის, არქეოლოგიის... სერია) მეორე ნომრის პუბლიკაციაში, რომლის ავტორები ლია მელიქიშვილი და გურამ ლორთქიფანიძე გახლავან — შვილი, რომელიც პოლონეთის სატახტოში თურმე ამდენ რამეს აკეთებს სამშობლოს სახელ-ღირსების ასამაღლებლად. ქება და დიდება ამგვარად დაკარგვას!..

ჟურნალ „მაცნესადმი“ მთელი პატივისცემის მიუხედავად, მისი მკითხველების რიცხვი, რა თქმა უნდა, შესაჩნევად მცირეა, ვიდრე „სრ“-ისა. პროფესორი დავით ყოლბაია კი ისეთი ფიგურა ყოფილა, რომელზეც საქართველოში რაც შეიძლება ბევრმა, რაც შეიძლება ბევრი უნდა იცოდეს; ამიტომაც მივეცი თავს ქალბატონი ლიას და ბატონი გურამის წერილის ფაქტობრივად გადმოწერის ნება „მაცნეს“ ფურცლებიდან ჩვენი გაზეთისაზე... მესმის, რომ „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, მაგრამ ალბათ, მაინც სასარგებლო...

**თამაზ ეზანოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩემპიონთა ლიგა

# მოკვდა მეფე?!



**„ბარსელონას“ უკვე მეათე მატჩის გამართვა მოუწია უმწვრთნელოდ, მაგრამ აქამდე არანაირი პრობლემა არ შექმნია. ერთი ეგაა, მეტოქეებს ყოველ შეხვედრაში აძლევდა პრესტიჟის გოლის გატანის საშუალებას.**

მაგრამ ერთია პრიმერადივიზიონი და მეორე — ჩემპიონთა ლიგა, მით უმეტეს „მილანი“, რომელსაც, რაც არ უნდა ლოკალური პრობლემები ჰქონდეს, იმისი უნარი ყოველთვის გააჩნია, თავსატეხი ყველას გაუჩინოს.

ამ ორი პოპულარული ტოპკლუბის პირველი დუელის წინ ცეცხლზე ნავთი ტოტალიზატორებმა დაასხეს, როცა „როსონერის“ საშინაო თამაშში კოეფიციენტად 6,5 განუსაზღვრეს. დამცირება და მერე ასეთი? ეს მართლაც მეტისმეტი იყო.

**„მილანი“ — „ბარსელონა“ 2:0**
**გოლები: ბოატენგი, მუნტარი.**



საიმისოდ, რომ მასპინძელთა თავკაცის მასიმილიანო ალეგრის ტაქტიკურ განსწავლულობაში დავრწმუნდეთ, ერთ ფაქტს გავუსვამთ ხაზს: მის მიერ გაბმულ აბლაბუდაში გახლართულმა კატალონიელმა ვარსკვლავებმა ერთხელაც ვერ შექმნეს ხიფათი აბიატის კართან.

ალსანიშნავია ისიც, რომ სტუმრებს ორივე გოლი აპენინელთა განელმა ლეგიონერებმა გაუტანეს.

რაც შეეხება პერსპექტივას, შესაძლოა, საპასუხო რაუნდში „ბრონწეულისფერებს“ გამოჯანმრთელებული ტიტო ვილანოვა დაუბრუნდეთ, მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად რომ ზეამოცანის გადაჭრა მოუწევთ, ფაქტია.

**„გალათასარაი“ — „შალკე“ 1:1.**
**გოლები:** იალმაზი; ჯოუნსი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართა. მილტონ ჰეიგის გუნდი რუსეთთან დაპირისპირებისთვის ემზადება, რომელიც 23 თებერვალს სოჭში გაიმართება. საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების შეხვედრა 2013 წლის ერთა თასის გათამაშების ეგიდით ჩატარდება, რომელიც, ამავდროულად, 2015 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპია.**



ქართველი ბორჯღალოსნები მომავალი თამაშისთვის ინტენსიურად ემზადებიან. ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა რუსეთთან შეხვედრისთვის 25 მორაგბე გამოიძახა, თუმცა, შემდეგ ცვლილებების განხორციელება მოუხდა — დავით ხინჩაგიშვილი ზურაბ ჟვანიათი ჩაანაცვა, ასევე ნაკრებს დაამატა ვიქტორ კოლელიშვილი.

ნაკრების ღია ვარჯიში თითქმის ორ საათს გაგრძელდა და დატვირთული და მრავალმხრივი გამოდგა. მწვრთნელებმა მორაგბეებს სხვადასხვა კომბინაციები დაამუშავებინეს, ორად გაყოფილი გუნდის მოთამაშეები რამდენჯერმე გადაანაცვლეს და თამაშის დროს სწრაფი, ხელდახელ თამაში მოსთხოვეს. ვარჯიშის მეორე ნაწილში შერკინების მოთამაშეებმა სტატიკურ მდგომარეობაში კომბინაციების დახვეწაზე იმუშავეს, უკანა ხაზმა კი დაკიდებული ბურთების სწრაფად დაჭერაზე და კარში დარტყმებზე იზრუნა.

**მილტონ ჰეიგი:** „რუსეთთან რთული თამაში გველის. მოახლოებული შეხვედრა ყველანაირი თვალსაზირისით პრინციპულია. ინტენსიურად ვემზადებით, ვცდილობთ გუნდში არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ და მატჩს სათანადო მზადყოფნაში შევხვდეთ. სოჭში რუსეთის ნაკრები კარგად თამაშობს და იოლად არაფერს დათმობს, თუმცა, უკან დახევას არც ჩვენ ვაპირებთ“.

**ირაკლი მაჩხანელი:** „ნაკრები მომავალი შეხვედრისთვის კარგად მოემზადა. რუსები ყველასთან მარცხს ეგუებიან, აი, ჩვენთან წაგება კი მათთვის ყველაზე მძიმეა. ამიტომ, მორიგ ურთულეს დაპირისპირებას ველით, მით უმეტეს, რომ მატჩი მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდით ჩატარდება. სოჭში შესანიშნავი განწყობით მივდივართ და, იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება“.

**ირაკლი ნატრიაშვილი:** „მშვიდად ვემზადებით პრინციპული თამაშისთვის, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვცდილობთ, წინა შეხვედრებში დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ და ქართველი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გავახაროთ“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# შესანიშნავი შვიდეული

**უკვე გაუწყეთ, რომ ახალი სეზონისთვის უკეთ მოსამზადებლად თბილისის „დინამო“ ორჯერ იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე ანტალიაში.**

**თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის მესვეურებმა გუშინ პრესკონფერენცია მოაწყვეს და შვიდი ახალწლეველიც წარადგინეს.**



მათგან ორი — 33 წლის მცველი, „თეთრ-ლურჯთა“ ყოფილი კაპიტანი გიორგი შაშიაშვილი და 29 წლის თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი ქვეყნის წამყვან კლუბში ადრეც თამაშობდნენ, დანარჩენები კი პირველად მოირგებენ მის მაისურს. ესენი არიან:

**ლაშა შინდაგორიძე — 20 წლის, თავდამსხმელი.**

**ემანუელ მენდი (სენეგალი) — 22 წლის, მცველი (გადმოიყვანეს „ლივერპულის“ სარეზერვო გუნდიდან).**

**პატრიკ მილხრაუმი (გერმანია) — 29 წლის, მარცხენაფლანგელი.**

**უსტარიცი (ბასკეთი) — 30 წლის, მცველი (იცავდა ბილბაოს „ატლეტიკის“ სპორტულ ღირსებას).**

**პეტერ გრაიციარი (სლოვაკეთი) — 29 წლის, ნახევარმცველი (ავტორიტეტი მოიხვეჭა ჩეხეთის საუკეთესო კლუბში — პრაღის „სპარტასა“ და „სლავიაში“ წარმატებული გადმოსვლით.**

დავძენთ, რომ 2013 წლის სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრას დუშან უჰრინის შეგირდები 26 თებერვალს ფოთში „კოლხეთთან“ გამართავენ (საქართველოს თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი), ხოლო ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სასტარტო ბრძოლაში 9 მარტს ზუგდიდის „ბაიას“ უმასპინძლებენ.

**გიორგი შოთაძე**

ზამთრის სახეობები

# ავსტრიის თეთრ ბილიკებზე

**საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა ეროვნული ნაკრების წევრებმა ავსტრიის საკურორტო ქალაქ შლადმინგში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა დაასრულეს. ხუთი ქართველი მოთხილამურიდან საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა და ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა სლალომში იასონ აბრამაშვილმა და ჯაბა გელაშვილმა შეძლეს.**

ალსანიშნავია, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას ქართული საღამო მოეწყო. შლადმინგში ქართულ კუთხეს მსოფლიოს სხვადასხვა სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელები და მოთხილამურეები დაესწრნენ.



მათ შორის იყვნენ ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, იტალიელი ალბერტო ტომბა, ავსტრიისა და ამერიკის სათხილამურო ფედერაციების პირველი პირები. ვახშამზე საქმიანი საუბრებიც გაიმართა, დაიგეგმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

ამ შეხვედრებიდან გამომდინარე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა გამოთქვა იმედი, რომ სამომავლოდ სამთო-სათხილამურო სპორტში სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებთან ერთად დაიგეგმება მწვრთნელების გადამზადება და მოეწყობა ერთობლივი შეკრებები

საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას მსოფლიო ჩემპიონატზე სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი — გიორგი რამიშვილი და ფედერაციის გენერალური მდივანი — გიორგი ცაგარელი წარმოადგენდნენ, ეროვნული ნაკრების შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ჯაბა გელაშვილი, სოსო ჯაფარიძე, ალექსი ბენიაიძე.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ძიუდო

# ლაშა შავდათუაშვილი ტატამს დიუსელდორფის გრან-პრიზე უბრუნდება

**საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების წევრები 23-24 თებერვალს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გასამართ გრან-პრიზე იჭიდავებენ.**

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ნაკრების შემადგენლობა ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაასახელა. ამჯერად საქართველოს ნაკრებს შვიდივე წონით კატეგორიაში 2-2 ძიუდოისტი ეყოლება.



ალსანიშნავია, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ტატამს დაუბრუნდა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, რომელიც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ პირველ ოფიციალურ ტურნირზე სწორედ დიუსელდორფში იჭიდავებს.

შავდათუაშვილი პარიზის გრანდ-სლემზეც აპირებდა გამოსვლას, თუმცა, 9-10 თებერვალს გამართულ პრესტიჟულ ტურნირზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა მცირე ტრავმის მიზეზით ველარ იასპარეზა.

**23-24 თებერვალს დიუსელდორფში გასამართ გრან-პრიზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**60კგ.** — ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი.

**66კგ.** — ლაშა შავდათუაშვილი, შალვა ქარდავა.

**73კგ.** — ამბაკო ავალიანი, ზურაბ ნოზაძე.

**81კგ.** — ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური.

**90კგ.** — ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური.

**100კგ.** — გიორგი ნოზაძე, ალექსანდრე მსხალაძე.

**+100კგ.** —ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი.

**მთ. მწვრთნელი** — ირაკლი უზნაძე.

**მანუჩარ გიორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## გავრცელებული ვიდეომასალა მონტაჟია

**ბუთა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ვიდეომასალა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, აშკარა მონტაჟია. ამის შესახებ განცხადება დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ექსპერტ ფონოსკოპისტმა მარიკა ტოკლიკიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

ექსპერტის განცხადებით, ერთი შეხედვითაც კი ჩანს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცდომილება, რაც მიანიშნებს, რომ მასალა უწყვეტი არ არის. კერძოდ, მისი თქმით, პირველი უზუსტობა იკვეთება იმ მომენტში, როცა ისმის გასროლის ხმა. ექსპერტის შეფასებით, ამ დროს იარაღი აღმართულია მაღლა და შეუძლებელია, ასეთი ტრაექტორიით გასროლილი ტყვია ვინმეს მოხვედროდა. მისი თქმით, ამ მომენტში ხმა და კადრი ერთმანეთს არ ემთხვევა. ტოკლიკიშვილის განმარტებით, მონტაჟი ვლინდება მასალის მე-11 წამზეც - ამ დროს კადრი გაქრილია და მისი ცვლილება ხდება.

ამასთან, როგორც მარიკა ტოკლიკიშვილმა განაცხადა, მასალას გასდევს სპეციალურად დადებული ფონური ხმაური.

გარდა კადრების ტექნიკური ანალიზისა, ბრიფინგზე დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტებმა მასალა ფსიქოლოგიური კუთხითაც შეაფასეს. მათი განცხადებით, პოლიციელების ქცევა არაადეკვატურია, აშკარაა, რომ მათი რეაქციები არ ჰგავს რეალურად აფექტში მყოფი ადამიანის ქცევას. ექსპერტების შეფასებით, პოლიციელებს არ აქვთ ადეკვატური რეაქცია გასროლის მომენტში და გარდა ამისა, მათ გამოთქმებში და ქცევაში იკვეთება, რომ „კამერაზე მუშაობენ„.

## ახალი დეტალები ცნობილია, საქმე მალე დასრულდება

**შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე ბარბარე რაფალიანცის საქმეზე ახალი დეტალები გაიგო. ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. თუმცა მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გამოძიების მიმდინარეობიდან გამომდინარე, ახალს ვერაფერს ვერ იტყვის. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ საქმეზე არანაირი ვიდეომასალა არ მიუღია. ღარიბაშვილის თქმით, გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება.**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოფელ კოლაგში გარდაცვლილი 10 თვის ბარბარე რაფალიანცის ოჯახის წევრებს ორი დღის წინ შეხვდა. შეხვედრა სამინისტროში გაიმართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის დროს მინისტრმა ჩვილის გარდაცვალების საქმეზე ისაუბრა და მათ გამოძიების მიმდინარეობის დეტალები გააცნო.

ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინვე ჩვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახის წევრების ვერსიებიც მოისმინა.

**ინტერპრესი**



გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, ქალბატონი **მანანა ანდრიაძე**, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საპატრიარქოს ცენტრის კონსულტანტი, ორმოცი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში — მუსიკათმცოდნეობის პრორექტორად და რექტორის მოადგილედ. ხელმძღვანელობდა სასულიერო მუსიკის საერთაშორისო კონფერენციებს. მისი ნაშრომები ქართული ჰიმნოგრაფიისა და მრავალხმიანობის სასულიერო მუსიკის შესახებ თარგმნილია და გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი უსამძიმრებს მეუღლეს, ბატონ გივი ანდრიაძეს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

ადამიანის ინტელექტი

# „აიზენკის წყევლის“ დასასრული

**ბრიტანელი ფსიქოლოგის ჰანს იურგენ აიზენკის მიერ ინტელექტის დასადგენ ტესტებს მსოფლიოში 60 წელზე დიდი ხანია იყენებენ. ხალხი ლოგიკურ ამოცანებს, აბსტრაქტულ გამოცანებს ხსნის, სწორ პასუხებში ქულებს იწერს და ფიქრობს, რომ ამ გზით შეიძლება იმის დადგენა, თუ ვინაა მათ შორის უფრო ჭკვიანი.**

მიჩნეულია, რომ საშუალოზე ნაკლებ ინტელექტს 80 ქულაზე ნაკლები შედეგი შეესაბამება, საშუალოს — 90-დან 115 ქულამდე, მაღალს კი — 120- ქულაზე მეტი. აი, ამ მარტივი ხერხით ხდება ადამიანთა „ჭკვიანებად“ და „სულელებად“ დაყოფა.

პარადოქსული წინააღმდეგობები მკვლევარებმა მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს შეამჩნიეს. აღმოჩნდა, რომ მათ შორის, ვინც ტესტების ამოცანებს უპრობლემოდ ხსნიდა, გონებაჩლუნგი ხალხიც მრავლადაა. და პირიქით, ზოგჯერ საზრიანობის ნამდვილი სასწაულების დემონსტრირებას ისინი ახდენდნენ, ვინც ელემენტარული ტესტის ორ უბრალო ამოცანასაც კი ვერ ხსნიდა სწორად. ამის თვალსაჩინო მაგალითია, კერძოდ, ჯორჯ ბუშ-უმცროსი და მადონა, რომლებსაც, შესაბამისად, 120 და 140 ქულა აქვთ, მაგრამ რომელთა „გენიალობა“, რბილად რომ ვთქვათ, საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

ტესტებით ინტელექტის ზუსტად დადგენის შემთხვევები კი ერთეულებია. ვთქვათ, მილიარდერ ბილ გეიტსს სავსებით მოსალოდნელი შედეგი — 160 ქულა აქვს, მოკრივე მუჰამედ ალის კი ასევე მოსალოდნელი დაბალი — 78 ქულა.

ახლა კი, როგორც ირკვევა, „აიზენკის წყევლა“ მოხსნილია: სპეციალისტებმა ტესტების არაკორექტულობის პირველ სამეცნიერო მტკიცებულებებს მიაგნეს.

კანადის დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტისა და ლონდონის მეცნიერების მუზეუმის მკვლევარებმა ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 100 ათასმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც ტესტები ტომოგრაფში ყოფნისას გაიარეს. მეცნიერებს აინტერესებდათ ამ დროს თავის ტვინში მიმდინარე პროცესები. შედეგად დადგინდა, რომ **ამოცანების ამოხსნისას მოხალისეთა თავის ტვინის მრავალი ისეთი უბანი აქტიურდებოდა, რომელიც სრულიად განსხვავებულ ფუნქციაზეა პასუხისმგებელი.**

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ადამიანის ინტელექტი არ არის რაღაც ერთიანი რამ, იგი მრავალი კომპონენტისგან ყალიბდება,** — განაცხადა გამოკვლევის ხელმძღვანელმა ადრიან ოუენმა. — **ინტელექტის მაჩვენებლები, პირველ ყოვლისა, მოკლევადიან მეხსიერებაზე, ლოგიკური მსჯელობის უნარზე, ორატორულ მოქნილობასა და კიდევ რამდენიმე სხვა ფუნქციაზეა დამოკიდებული.**

ამდენად, **ინტელექტის ერთიანი არსი არ არსებობს — არის აზროვნების სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ტიპების ნაკრები.** ინდივიდი შეიძლება ძლიერი იყოს რომელიღაც ერთ სფეროში, მაგრამ სხვებში მოიკოჭლებდეს. ამიტომ ინტელექტის ერთიანი მაჩვენებლით შეფასება მცდარი გზაა.

— ყოველთვის მიკვირდა, რომ მაშინ, როცა თავის ტვინს სამყაროში ყველაზე რთულ ობიექტს ვუწოდებთ, მისი ძალის შეფასებას რამდენიმე გამოცანის ამოხსნის შედეგებით ვცდილობთ, — განაცხადა კიდევ ერთმა მკვლევარმა როჯერ ჰაიფილდმა.

**ირმა ირემაშვილი**



საერთაშორისო ორგანიზაციის SUPER SCHOLAR -ის რეიტინგი

### ინფორმაცია თემაში

**ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა ჰოვარდ გარდნერმა „მრავლობითი ინტელექტის“ შეფასების იდეა წამოაყენა, რომელიც აზროვნების ხუთი ტიპისგან შედგება. ესენია, კერძოდ, 1. აზროვნების დისციპლინური ტიპი, რომელიც გულისხმობს, რომ კაცმა თუნდაც ერთი პროფესია ან ხელობა შეისწავლა. 2. მასინთეზირებელი ტიპი — ცოდნის სხვადასხვა სფეროდან იდეების ერთიან მთლიანობაში ინტეგრირების უნარი. 3. კრეატიული ტიპი — ახლის გამოგონების უნარი. 4. პატივისმცემელი — სხვა ადამიანთა რასობრივი, ეროვნული და პროფესიული კუთვნილების მიუხედავად მათთან საერთო ენის გამონახვის უნარი. 5. ეთიკური — საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.**

ინფორმაცია

## სასამართლოები ვიდეოკამერებით აღიჭურვა



**მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სასამართლოების კამერებით აღჭურვისთვის 3 550 000 ლარი გამოიყო, — ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.**

მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრომ წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს იმისთვის, რომ სასამართლო დარბაზებში იყოს ერთი კამერა მაინც. მინისტრის განმარტებით, ეს არ იქნება ტელევიზიების კამერა. ეს კამერა გააკეთებს სრულ ჩანაწერს და შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ მიიღონ ჩანაწერი.

— ამისთვის დღეს გამოიყო 3 550 000 ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და ეტაპობრივად მოხდება ყველა სასამართლოს აღჭურვა კამერებით, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

**ინტერპრესი**

### განცხადება

**შპს „სუპერ ბეტონის“** დირექტორი ნატიგ ჰუსეინოვი აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმო ობიექტის — ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახიდურში განთავსებული ასფალტის ქარხნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართებზე: ა) ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახიდური, შპს „სუპერ ბეტონის“ ასფალტის ქარხანა და ბ) ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 — საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ნებართვების სამსახური, ტელ: 2727260, 2727246.

ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი დოკუმენტის საჯარო განხილვა მოეწყობა 2013 წლის 15 აპრილს 14 საათზე მისამართზე: ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახიდური, შპს „სუპერ ბეტონის“ ასფალტის ქარხანა.

გთხოვთ, თქვენი წინადადებები და შენიშვნები წერილობითი ფორმით ჩააბაროთ შპს „სუპერ ბეტონის“ დირექტორს ნ. ჰუსეინოვს; ტელ: 577228008, 577228001, 598354969.

**შპს „სუპერ ბეტონის“ დირექტორი
ნ. ჰუსეინოვი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ვერნისაჟი

# ფოტოგრაფიკის შავ-თეთრი ხიბლი



**„ფოტოში ავტორის ხელი უნდა ჩანდეს“, — ქართული ფოტოგრაფიკის ფუძემდებლის ზურაბ დათუაშვილის ეს სიტყვები საუცხოოდ ესადაგება თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გახსნილ მის ნამუშევართა გამოფენას.**

მომავალი ფოტოხელოვანი ქუთაისში 1931 წელს დაიბადა, ფოტოგრაფიამ კი ბავშვობიდანვე გაიტაცა. პირველი ნამუშევარი გაზეთში შორეულ 1957 წელს დაისტამბა და სწორედ ესაა ბატონი ზურაბის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ათვლის წერტილი. მას შემდეგ აგერ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, რა ხნის მანძილზე მხატვრული ფოტოს სახელოვანმა ოსტატმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ დაახლოებით ას ფოტოგამოფენასა და ფოტოკონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც საერთაშორისო აღიარება სავსებით სამართლიანად მოიპოვა, რისი დასტური უამრავი ჯილდო და აღფრთოვანებული გამოხმაურებაა. ზურაბ დათუაშვილის ნამუშევრები წლების მანძილზე იბეჭდებოდა საქართველოს, სსრ კავშირისა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში, ოთხი პერსონალური გამოფენა ჰქონდა თბილისში, ვილნიუსში, ბელგრადსა და მინსკში.



მის შემოქმედებაში გამჭოლი, მთავარი თემა მაინც მშობლიური ქვეყნის ხედებია. შემოქმედებითი გზის დასაწყისში ფოტოხელოვანი მსოფლიოში იმხანად მეტად პოპულარულმა ფოტოგრაფიკამ გაიტაცა, რომლის საქართველოში პირველი შემომღები და დამმკვიდრებელი გახდა კიდეც.

ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი ზურაბ დათუაშვილი წლების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ფაკულტეტზე, ფოტოჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის კი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

დროული, ამჟამად თვალისჩინდაკარგული სახელოვანი ფოტოხელოვნის გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო — ჟურნალისტები, კინემატოგრაფისტები, ყოფილი სტუდენტები, საზოგადოების წარმომადგენლები.





— გული მწყდება, რომ ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვასწარი, ფოტოს გადაღება წამის ამბავია და, აი, გაიქცა უკვე კადრი, — ამბობს ოსტატი. — დიდძალი დაუმუშავებელი ფოტოარქივი მრჩება, დღეს კი სინათლე აღარ მაქვს თვალში, ველარ ვხედავ. სამწუხაროდ, მიმდევარიც არავინ მყავს... — ესაა ბატონი ზურაბის ყველაზე დიდი გულისტკივილი.

გამოჩენილი ფოტოგრაფიკოსის გამოფენა თებერვლის მიწურულამდე გასტანს.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### სასამართლოში ყველა საქმე ღია სხდომაზე განიხილება

სამართლიანი სასამართლოსა და ობიექტური მართლმსაჯულების გზაზე კოალიცია „ქართული ოცნება“ არაერთ საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს. ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების პირობა კოალიციამ წინასაარჩევნოდ დადო. ახლა ამ დანაპირების აღსრულების პროცესშია. კოალიციის წევრებმა სათანადო საკანონმდებლო ინიციატივები უკვე მოამზადეს და პარლამენტში განხილვებიც დაიწყეს. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივათა შორისაა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპის გაუქმება, საქმის სასამართლოს ღია სხდომაზე განხილვა და ა. შ. აქ, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ინიციატივა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის გაუქმების თაობაზე, რომელსაც უამრავი ადამიანი ელოდება.

**„ახალი თაობა“**

### ვინ არის კულტურის რეალური მინისტრი და რატომ გადაიდო კონცერტების შემოწმება?

კულტურული კოჰაბიტაცია! ვინ არის კულტურის რეალური მინისტრი — რურუა თუ ოდიშარია? რა საიდუმლო ინახება კინოცენტრში და რატომ გადადო ოდიშარიამ კინოცენტრის შემოწმება? ვის წინააღმდეგ იმუშავებს „ალიას“ მიერ მოპოვებული დოკუმენტები და რატომ დუმს კულტურის სამინისტრო? ფაქტები კომენტარების გარეშე! რატომ დუმს კინოცენტრი?! რა არის ეს — კორუფცია, საქმის კეთება თუ შემთხვევითობა? კითხვები, რომელთაც პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს! იურისტები აცხადებენ, რომ ეს საქმე პროკურატურის ქვემდებარეა და სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლის დარღვევასთან — თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა.

**„ალია“**

### გალელი გლეხები დახმარებას პრემიერ-მინისტრს სთხოვენ

გალის რაიონში მოსახლეობა საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ემზადება. სეზონი მარტიდან დაიწყება. ადგილობრივების თქმით, სასოფლო-სამეურნეო ხარჯები ჯერ არ შეცვლილა. თუმცა, ინვესტორთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება უჭირთ, რის გამოც ზოგი მამაპაპური გუთნის გამოყენებაზე არ ამბობს უარს. უმრავლესობა კი საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებას ძველებური, საბჭოური გუთან-ტრაქტორით აპირებს. გალელი გლეხები დახმარებას პრემიერ-მინისტრისგან ითხოვენ და ბიძინა ივანიშვილს მიმართავენ, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში ოკუპირებული ტერიტორიებიც მოიაზროს.

**„რეზონანსი“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**— თუ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეთ, რას აპირებთ, ფულის შემოტანას თუ გატანას! — ეუბნება მოთმინებადაკარგული ბანკის თანამშრომელი კლიენტს, რომელიც გაუთავებლად იქექება ჯიბეებსა და ჩანთაში.**

**— რა თქმა უნდა, გატანას, მაგრამ ვერაფრით ვერ ვპოულობ ჩემს პისტოლეტს.**

* * *

**— მოგვიყევით, როგორ მოიყარეთ ამდენი წლისა, — სთხოვს ჟურნალისტი უხუცესს.**



**— ყველაფერში ზომიერი ვიყავი — სექსშიც, სასმელშიც, თამბაქოშიც. და, რაც მთავარია, „ტიტანიკზეც“ დამაგვიანდა...**

* * *

**— ძვირფასო, უკვე ლამის ხუთასი სახეობის შპალერი მაინც ვნახეთ, მაგრამ შენ არაფერი არ მოგწონს, — ეუბნება შეწუხებული ქმარი ცოლს.**

**— კარგი, თვითონ შეარჩიე. ხმასაც არ ამოვიღებ.**

**— აი, ეს ვიყიდოთ.**

**— არა, იგი ერთობ ნათელია და ნახატიც ულამაზოა.**

* * *

**ჩვენს მაღაზიებში მიღებულია ჩელიაბინსკის მეტეორიტის ახალი ნამსხვრევები. ისინი დამზადებულია ჩინეთში.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com